92300
3

ბ ე ნ ი ა

ქართველთ მეფეების ხუმარა.

გამოცემა მეორე

ბენიამ სთქვა: — „თხა არა ვარ,
გა'ხაფხულზე გავიკრიჭო:
ეს ქვეყანა მისთვის მინდა,
გავიტინო, გავიდრიჭო“...

ხალხური.

ფ ო თ ი.

სტამბა ლ მ ტუღუშისა ▮ Поти тип. Л. Тугуши.
1902

Дозволено цензурою Тифлисъ, 6 Сентября 1901 года

ბ ე ნ ი ა

ა

როდესაც შაჰ-აბაზი საქართველოს დაეცა და განსაკუთრებით კახეთი ააოხრა, მაშინ ქართველთათვის დადგა დიდი განკითხვის ღღე, ძველნი კახელნი მტრის წინაამღდეგ მხნედ და გულადად იბრძოდენ, ამ ბრძოლაში დიდი ძალი ქართველობა გაწყდა, კაცებს გარდა დედაკაცებიც ომობდნენ;—მაგრამ საქმე მაინც გაჭირდა, რადგანაც ქართველ შინათ გამცემ მტერთ რიცხვი ერთობ დიდი იყო. ამ შინაურ მტრებს გარეშე მტრებიც ზედ ემატებოდნენ. ბევრის ბრძოლის შემდეგ შინათ გამცემთ მეოხებით იძლიენენ ქართველები, ეს ძლევა სპარსთაც იაფათ არ დაუჯდა.

ქართველთათვის დადგა „სისხლის წვიმების დრო“. ამ ვაების და დარბევის დროს შაჰ-აბაზმა საქართველოდამ სპარსეთში გადაასახლა ასი ათასი ქართველი, ყველა ესენი დაასახლა სპარსეთში. ამათ რიცხვში ერია კახეთის მეფის მოხუცებული ბენია—თარხანიც. ქართველები სპარსეთში რომ ჩაიყვანეს, ზოგი სად დაასახლეს და ზოგი სადა, მხოლოდ ბენიას მისცეს ნება ცხოვრების შაჰ-აბაზის სახლის ახლოს. როგორც მოყვარე თავის სამშობლოსი და ქართველი ხალხისა, ბენია ბევრს სცდილა სპარსეთში წაყვანილ ქართველების დასახსნელად, მაგრამ დიდხანს-კი ვერა გაუწყვიარა, მხოლოდ შემდეგ დროში-კი ათასი ქართველი ტყვე დაუხსნია და საქართველოში დაუბრუნებია, რის შემდეგ თვითონაც დაბრუნებულა. ბენიას ამ მოხერხებისთვის აი რას ამბობს გარდმოცემა:

შაჰ-აბაზი ისეთი ცუდი კაცი იყო, რომ რასაც იტყოდა და აიკინებდა უსათუოთ უნდა ასრულებულიყო კიდეც, თუნდა მთელი ქალაქიც დაქცეულიყოვო. ერთხელ აუტეხნია, რომ ისეთი კაცი მი

შოენეთ, რომელსაც შეეძლოს ჩემი დაფასებაო, რომ ჩემმა ქვეყანამ იცოდეს: თუ მე რა ვლირვარ ან ჩემთვის და ან თქვენთვისაც. შესწუხდა ამაზე მთელი ირანის ხალხი, დაუწყეს ასეთ კაცს ძებნა. მაგრამ პოვნით-კი მალე ვერსად იპოვნეს. ყველას ეშინოდა დაფასება, ვაი თუ შესაფერად ვერ დავაფასოთ, მერე თავს მოვიკვეთსო. საქმე იქამდის მიაღწია, რომ ქართველთ ბენიასთან წაიიდენ შაჰ-აბაზის კაცები და უთხრეს:

შაჰმა ესე და ესე გამოგვიცხადა, შენ ხომ არ შეგიძლიან, რომ დააფასო იმის უდიდებულესობა? რასაც-კი სთხოვ—მაშინვე მოგცემს.

—ძალიან კარგი. მე დავაფასებ იმის უდიდებულესობას.

უთქვამს ბენიას. თქმის თანავე ბენია შაჰთან წაუყვანიეთ. შაჰს რომ დაუნახავს ბენია, გაჰკვირებია და უკითხავს:

შენ უნდა დამაფასო მე?

დიახ მე დაგაფასებ, თუ თქვენი ნება იქნება, მიუგო ბენიამ.

აბა სთქვი, რა ვლირვარ?

დღეს არ შემიძლია, ხვალ მოგახსენებ, რაც ღირხართ, ოღონ-რამ სამაგიეროდ მე რას მაჩუქებთ? რაც გინდა მთხოვე!

მაშ ათასი ქართველი მშიერი ტყვე-კაცი მაჩუქე, რომ საქართველოში დავაბრუნო...

ძალიან კარგი, უთხრა შაჰ-აბაზმა.

ბენიამ ერთი თუმანი ფულიც სთხოვა; ბენიას ფული მისცეს, ეს წაიიდა მალე, ამ ფულით ერთ მეკუბოვეს ოთხი ფიცრის კარადა კუბო გააკეთებინა მესამე დღეს, ბენიამ კუბო აიკიდა ზურგზე და შაჰის სახლში წაიღო. კუბო ერთ ოთახში შეიტანა და იატაკზე დადგა. შაჰს შეატყობინეს, რომ ბენია მოვიდაო. მაშინათვე შაჰი წამოვიდა ბენიასკენ, მიეიდა დანიშნულს ოთახში და ბენიას ჰკითხა:

—აბა მოხველი? დამაფასე, ვნახოთ ერთი, როგორ დამაფასებ?

კარგი, მზისა და მთვარის ფასო, უთხრა ბენიამ. ამ საუბრის დროს სპარსეთის ყველა წარჩინებული პირნიც იქ იყვნენ შეკრებილნი, ყველა სულ-განაბული ელოდა იმას, თუ მზისა და მთვარის

ბადალს შაჰს როგორ დააფასებს ბენიაო? ბენიამ მეორე ოთახიდამ შეატანინა ის კუბო და შაჰის წინაშე დასდგა. შაჰი გაჰკვირდა. ბენიამ უთხრა.

აი თქვენი ფასი ეს არის!

როგორ! განა ეს არის ჩემი ფასი? ჰკითხა მრისხანეთ შაჰმა და თან მალე ელოდა მისგან პასუხს. ყველანი მდუმარებდენ, შაჰის გაოცებას ბოლო არა ჰქონდა.

დიახ, დიდებულო მეფეო, განაგრძნო ბენიამ, - თქვენ ხომ ბრძანეთ დამაფასეთო? როგორ დაგაფასო? ფულით, თვალმარგალიტით და ძვირფასებით სავსე ხართ, სახელიც მეფისა მოუცია თქვენთვის ღმერთს, ღირსება და ანგარიში მაჰმადისა. ღვთისა წინაშე თქვენი ფასი ეს არის. როდესაც უძრავათ იწვებით შიგა და საიქიოს ამის მეტს სხვას ვერაფერს წაიღებთ, ეს არის თქვენი წონა, თქვენი ფასი. შაჰი დაფიქრდა ბენიას დაფასებაზედ, მალე დაფასება ჭეშმარიტად დაინახა, მიტომ ბენია დაასაჩუქრა შაჰმა, მისცა საჩუქრები და ის ათასი ქართველი კაცი, რომელთა განთავისუფლებასაც დაპირდა. მალე ბენია საქართველოში მოვიდა, ყველა ტყვე ქართველებიც თან მოიყვანა. ბენიას უზომოდ ლოცავდენ, ის კი ეუბნებოდა:

თქვენ მხიარულად იყავით, მე ისევ მალე მივბრუნდები საქართველოდამ შაჰის კარზედ, მისი ერთგული ვიქნები, — გავთათრდები და თან ვეცდები, რომ ქართველთა ტყვენი ეგები კიდეე დაეაბრუნო საქართველოში. ამბობენ, რომ ამ ბენიას თარხანიც ერქვაო: ვითომც მაშინდელი ბენია „თარხანი“ უნდა ყოფილიყოს.

ბ

თბილისში ფრანგის პატრები გამრავლდენ. შუა ბაზარში ამათ ადრიდგანვე კარგი სკოლა ჰქონდათ გამართული. ამ სკოლაში ქართველ კათოლიკის შვილებს გარდა სხვა სარწმუნოების შვილებსაც ასწავლიდნენ. ესენი ასწავლიდნენ სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებს. სხვათა შორის ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ დედამიწა

შოვნეთ, რომელსაც შეეძლოს ჩემი დაფასებაო, რომ ჩემმა ქვეყანამ იცოდეს: თუ მე რა ვღირვარ ან ჩემთვის და ან თქვენთვისაც. შესწუხდა ამაზე მთელი ირანის ხალხი, დაუწყეს ასეთ კაცს ძებნა, მაგრამ პოვნით-კი მალე ვერსად იპოვნეს. ყველას ეშინოდა დაფასება, ვაი თუ შესაფერად ვერ დავაფასოთ, მერე თავს მოვიკვეთსო. საქმე იქამდის მიაღწია, რომ ქართველთ ბენიასთან წაიიდენ შაჰ-აბაზის კაცები და უთხრეს:

შაჰმა ესე და ესე გამოგვიცხადა, შენ ხომ არ შეგიძლიან, რომ დააფასო იმის უდიდებულესობა? რასაც-კი სთხოვ—მაშინათვე მოგცემს.

—ძალიან კარგი. მე დავაფასებ იმის უდიდებულესობას.

უთქვამს ბენიას. თქმის თანავე ბენია შაჰთან წაუყვანიან. შაჰს რომ დაუნახავს ბენია, გაჰკვირებია და უკითხავს:

შენ უნდა დამაფასო მე?

დიახ მე დაგაფასებ, თუ თქვენი ნება იქნება, მიუგო ბენიამ.

აბა სთქვი, რა ვღირვარ?

ღღეს არ შემიძლია, ხვალ მოგახსენებ, რაც ღირხართ, ოღონ რამ სამაგიეროდ მე რას მაჩუქებთ? რაც გინდა მთხოვე!

მაშ ათასი ქართველი მშიერი ტყვე-კაცი მაჩუქე, რომ საქართველოში დავაბრუნო...

ძალიან კარგი, უთხრა შაჰ-აბაზმა.

ბენიამ ერთი თუმანი ფულიც სთხოვა; ბენიას ფული მისცეს, ეს წავიდა მალე, ამ ფულით ერთ მეკუბოვეს ოთხი ფიცრის კუბო გააკეთებინა მესამე ღღეს, ბენიამ კუბო აიკიდა ზურგზე და შაჰის სახლში წაიღო. კუბო ერთ ოთახში შეიტანა და იატაკზე დადგა. შაჰს შეატყობინეს, რომ ბენია მოვიდაო. მაშინათვე შაჰი წამოვიდა ბენიასკენ, მიეიდა დანიშნულს ოთახში და ბენიას ჰკითხა:

—აბა მოხველი? დამაფასე, ვნახოთ ერთი, როგორ დამაფასებ?

კარგი, მზისა და მთვარის ფასო, უთხრა ბენიამ. ამ საუბრის დროს სპარსეთის ყველა წარჩინებული პირნიც იქ იყვნენ შეკრებილნი, ყველა სულ-განაბული ელოდა იმას, თუ მზისა და მთვარის

ბადალს შაჰს როგორ დააფასებს ბენიაო? ბენიამ მეორე ოთახიდამ შეატანინა ის კუბო და შაჰის წინაშე დასდგა. შაჰი გაჰკვირდა. ბენიამ უთხრა.

აი თქვენი ფასი ეს არის!

როგორ! განა ეს არის ჩემი ფასი? ჰკითხა მრისხანეთ შაჰმა და თან მალე ელოდა მისგან პასუხს. ყველანი მდუმარებდენ, შაჰის გაოცებას ბოლო არა ჰქონდა.

დიახ, დიდებულო მეფეო, განაგრძნო ბენიამ, - თქვენ ხომ ბრძანეთ დამაფასეთო? როგორ დაგაფასო? ფულით, თვალმარგალიტით და ძვირფასებით სავსე ხართ, სახელიც მეფისა მოუცია თქვენთვის ღმერთს, ღირსება და ანგარიში მაჰმადისა. ღეთისა წინაშე თქვენი ფასი ეს არის. როდესაც უძრაავათ იწვებით შიგა და საიქიოს ამის მეტს სხვას ვერაფერს წაიღებთ, ეს არის თქვენი წონა, თქვენი ფასი. შაჰი დაფიქრდა ბენიას დაფასებაზედ, მალე დაფასება ჭეშმარიტად დაინახა, მიტომ ბენია დაასაჩუქრა შაჰმა, მისცა საჩუქრები და ის ათასი ქართველი კაცი, რომელთა განთავისუფლებასაც დაჰპირდა. მალე ბენია საქართველოში მოვიდა, ყველა ტყვე ქართველებიც თან მოიყვანა. ბენიას უზომოდ ლოცაედენ, ის კი ეუბნებოდა:

თქვენ მხიარულად იყავით, მე ისევ მალე მივბრუნდები საქართველოდამ შაჰის კარზედ, მისი ერთგული ეიქნები, —გავთათრდები და თან ვეცდები, რომ ქართველთა ტყვენი ეგები კიდეე დაეაბრუნო საქართველოში. ამბობენ, რომ ამ ბენიას თარხანიც ერქვაო: ვითომც მაშინდელი ბენია „თარხანი“ უნდა ყოფილიყოს.

ბ

თბილისში ფრანგის პატრები გამრავლდენ. შუა ბაზარში ამათ ადრიდგანვე კარგი სკოლა ჰქონდათ გამართული. ამ სკოლაში ქართველ კათოლიკის შვილებს გარდა სხვა სარწმუნოების შვილებსაც ასწავლიდნენ. ესენი ასწავლიდნენ სხვა და სხვა სამეცნიერო საგნებს. სხვათა შორის ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ დედამიწა

ტრიალებსო. ამ ამბავმა მეფესა და ბატონიშვილის ყურამდისაც მიაღწია, რომ პატრები ასე ამბობენო. ბატონიშვილებმა სთქვეს: აბა მაშ დავიბაროთ თომა პატრი და ვკითხოთო. მალე პატრი დიბარეს სამეფო სახლში. პატრი მივიდა, მათ კითხვები მისცეს. პატრმა აუწყა:

—მეცნიერები და სწაულულნი აგრე უწყიან, რომ დედამიწა ტრიალებსო და მეც ისე მოგახსენებთ, თორემ ნამდვილათ არც მე მწამსო. გავიდა თურმე რამდენიმე ხანი და სამეფო სახლში მეჯლიში იყო, მაშინ მეჯლიში კვირაში ერთხელ იმართებოდა, ზაფხულობით, სოლოლაკის ქვემოთ, ბატონის ბაღში, ან ორიოკალას, ზამთრობით სამეფო სასახლეში. მეჯლისში ლაპარაკი ჩამოაგდეს თუ ქვეყანა რაზე დგასო? ან როგორ ტრიალებსო? ერთმა სთქვა: დედამიწა თევზის კუდზედ სდგასო, როცა თევზი შეიფარხალებს და კუდს გაიქნევსო, მაშინ დედამიწაც დაინძრევაო. მეორემ სთქვა: ქვეყანა ცეცხლზედ სდგასო, მესამემ სთქვა: ქვეყანა ზღვაზედა სდგასო: ჰაი აქეთ, ჰაი იქით, შეიქნა ყაყანი, ყველა ამას კითხულობდა: დედამიწა რაზედ დგასო?

ამ დროს ბენიაც იქ იყო, მეჯლიშს სულგანაბული უმზერდა

ვიდრე მეჯლიში არ გათავდებოდა, მინამ ბენია ფეხს ვერ მოიცვლიდა, პურის ჭამასაც ვერ გაბედავდა, ასე იყო მათი წეს-ჩვეულება.

ერთმა ბატონიშვილმა ხმა-მაღლივ დაიძახა:

—ბენიას ეცოდინება, თუ ქვეყა რაზედ დგასო?

—სწორედ მას ეცოდინება, სთქვეს სხვებმაც.

—აბა ვკითხოთ ბენიას.

—ვკითხოთ. ბენია, აბა, სთქვი, ქვეყანა რაზედ სდგას?

—ჩემი ქვეყანა იმაზედ სდგას, რომ თქვენ მაძღარნი ბრძანდებით, მოიცადეთ, თქვენი მეჯლიში გათავდეს, მერე მეც თქვენსავებ გავძღები და შემდეგ გეტყვით, რაზედ სდგას. ბენიას საჭმელი მაშინვე მისცეს. მალე შეექცა საჭმელებს, ჭამა-სმის გათავების შემდეგ ბატონიშვილებმა ჰკითხეს:—აბა, ბენიავ ჩქარა სთქვი, თუ ქვეყანა რაზედ სდგას?—ქვეყანა, ბატონებო, აი ამაზე, მუცელზე

სდგას; თუ ეს მაძღარია,—მაშინ ~~ქვეყანაც ამაზე~~ სდგას და ტრიალებს, თუ ეს მშიერია,—მაშინ ერთიც ტყულია და მეორეცა.

ამ მუცლის დაოკებაზე დგას ქვეყანა. მე ხომ პატრი არა ვარ, რომ ამაზე დაწერილებით მოგიყვეთ ლაპარაკი. მე მოკლეთ, სადათ მოგახსენებთ, რომ ქვეყნის ტრიალიც და დგომაც ჩვენს სტომაქზე ტრიალებს, ჩვენ ს მუცლის გაძღომაზედ, ნახეთ რა შეუძლიან სიმაძღრეს, რო ა გაძღებით მაშინ მოგაგონდებათ ეს, თუ ქვეყანა რაზე დგას, ანა მშივრებს მოგაგონდეს ის, თუ ქვეყანა რაზედ სდგას და ან რა ატრიალებს.

3

საქართველოში მყოფი სპარსელნი ძლიერ ემტერებოდნენ ბენიას, რადგანაც ბენია მათ ხშირათ დასცინოდა. თფილისში მყოფმა სპარსეთის ელჩმა ერთხელ მეჯლიში გამართა, თფილისის ყველა დიდკაცებიც დაჰპატიჯა, ბენიაც იქ უნდა მისულიყო. მოწვეულთ პირობა შეჰკრეს, რომ როცა ბენია მოვა, ჩვენ ყველანი ჩუმათ დავხთეთ, ხმა არ ამოვიღოთო. დანიშნულს დროს ბენია მოვიდა, მასპინძელთ და მტკრთ პირობისამებრ ხმა გაკმიდეს, ბენიამ გამარჯობა უთხრა, ხმა არავინ გასცა. ბენიას ძლიერ ჯავრი მოუვიდა, ხმა ვერავის ამოაღებინა. ბოლოს მაღალის ხმით იყიელა! ყიყლიყო, ყიყლიყო, ყიყლიყო! ერთს გაეცინა და ჰკითხა:—რას შვრები მაგასაო? მან მიუგო:—დალოცვილო, ამდენი ქათამ-დედლები შეყრილხართ აქა და ერი მყიავრი მამალი მაინც არ გინდათ! მაინც ბევრმა ხმა არ ამოიღო. ბენიამ სთქვა: წავალ ღორის ხორცს მოვიტან და თათრებს პირზე წაუსვამ, მაინც ხმა არავინ გასცა. ბენიამ ნახა საქმე როგორც იყო, მერე დაიწყო ტანისამოსის გახდა და როგორც პერანგამდისინ მიეიდა თუ არა, მაშინ-კი ველარ შეიკავეს სპარსელებმა თავი და ხმა გასცეს. ბენიამ უთხრა:—თქვენისთანა მოლებს მე შიგ მეჩეთშიაც შევისყიდი ფულითა და სიტყვითაო.

დ

თეიმურაზ მეფის დროს ქართველთა იწყეს სამღვთო ფილოსოფოსობა. მათ დიდი ყურადღება მიიპყრეს თვისკენ. საღმთო ფილოსოფოსნი ყოველთვის მაღალის კილოვანის ენით ბაასობდენ, გონებას რეტორებით, კატეგორიით, ფილოსოფიით, ეთიკით და ასეთ წიგნებთა კითხვით ღალავდნენ. მეტათ ძნელათ გასაგებნი წიგნნი მაშინ ხშირათ იკითხებოდნენ საღმრთო ფილოსოფოსებისაგან. მეფის სასახლეში და თავადიშვილის ოჯახებშიაც ხშირათ შეიკრიბებოდენ მძიმედ მოსაუბრე ქართველ ფილოსოფოსნი ღვრთულის კილოთი საუბარს და სჯას დაიწყებდნენ. საუბარს ხშირად ბენიაც ნახავდა ხოლმე და ისმენდა, მაგრამ გაგებით-კი ვერას გაიგებდა. ჰკვირობდა მასზე, რომ ეს ბრძენი კაცები რათ ლაპარაკობენ ასე, რომ მათი ლაპარაკისა ბევრს არაფერი გაეგების. ამაზე საყვედური ერთხელ მეფესაც-კი მოახსენა.

მეფე თეიმურაზს დიდათ სწყინდა, რომ ასეთმა ჭკვიანმა კაცმა, მახვილ-გონიერმა, როგორც ბენია იყო, ქართული წერა-კითხვა არ იცოდა. ერთხელ უბრძანა:

— ბენია, შენ რომ ქართული წერა-კითხვა ისწავლო, მაშინ უფრო ჭკვიანი გახთები, ბრძენ, გონება მახვილიანი და ენა-მეტყველი.

— მასწავლეთ, ბატონო, და ვისწავლი, თუ-კი მაგრეა საქმე, რათ დავკარგო კარზე მომდგარი ბედნიერება. მოახსენა ბენიამ.

— ძალიან კარგი, მიუგო მეფემ...

მეფემ მალე ქართველთ ფილოსოფოსნი დაიბარა და ბენიასაც სწავლება დაავალა. ანტონ კათალიკოზმა დიდის სიამოვნებით მიიღო ბენია, წაიყვანეს კათალიკოზის სკოლაში და სწავლა დააწყებინეს. ბენია, რადგანაც ყველა შაგირდებზედ უფროსი იყო, მიტომ შაგირდების „ხილიფათ“ დანიშნეს. მაშინ თურმე მოწაფეებს დღეში შვიდ ასოს აწერინებდნენ და ასწავლიდნენ. ანბანის სწავლების შნმდეგ ათ მცნებას და ცხრა ნეტარებას ასწავლიდნენ. ბენიამ კითხვა და წერა მალე ისწავლა, კათალიკოზს დიდათ გაეხარდა,

კათალიკოზი ჰფიქრობდა: ბენია ჭკვიანი კაცია, ამას რომ სიბრძნის კარი გაუხსნათ, პლატონი, არისტოტელი, სოგრატი და ასეთი ფილოსოფოსთა ნაშრომნი მცირედ გაიცნოს, მაშინ ეს მეტათ ჭკვიანი კაცი იქნებაო. წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ ბენიას ათი მცნება წააკითხეს და ამის დახსომება სთხოვეს, მერე პასუხი აღსნიო. ერთ დღეს ჰკითხეს ბენიას: —აბა, ბენია, ათი მცნება წაიკითხე და ყველა მცნება აღსენი. — დიახ ბატონო, ეხლავ ყველას წავიკითხავ და დაეხსნი. ბენიამ დაიწყო კითხვა, კითხვის შემდეგ აღსნა სათიდათ ყველა მცნება. კათალიკოზს დიდათ ესიამოვნა. სწავლის შემდეგ ბენია შინ წავიდა. მეორე დღეს სკოლაში სიარული შესწყვიტა. მასწავლებელნი უცდიდნენ, მაგრამ ბენია აღარ გამოსჩნდა, კათალიკოზს მოახსენეს. —ბენია აღარ დადის სკოლაშია. კათალიკოზი წაბრძანდა მეფესთან და ამბავი მოახსენა. მეფემ იხმო, კათალიკოზმა უბრძანა ბენიას: —მე შენზე გაჯავრებული ვარ, სასწავლებლათ რატომ აღარ დაიარები? — თქვენის მადლიო, მე ყველაფერი ვისწავლე და რაღაზე ვიარო. —ბიჭო, ოცი წელიწადი სწავლობენ, გონებას ღალავენ სწავლით და ისინი ვერ ამთავრებენ სწავლას და შენ როგორ ისწავლე ორ თვეში? ჰკითხა კათალიკოსმა. —მე, მღვდელთმთავარო, ყველაფერი ვისწავლე; მოგეხსენებათ რაც კაცისთვის არის საჭირო, რაც გამოსადეგი, მე ის ვისწავლე, მეტი არც მე მინდა. —რა სწავლა არის ეგა? ჰკითხა მღვდელ-მთავარმა. — ეგ მღვდელთ-მთავარო ათი მცნება გახლავთ. ამ ათ მცნებაში ყველაფერი ყოფილა, რასაც ამით ერთ კვირას ვისწალი და ავხსნი, ის თუ გინდა ოც წელიწადს ისწავლე, წიგნები იკითხე, გონება დაღალე, მაგრამ რა გამოვა, არაფერი, წყალი ნაყე, ბოლოს მაინც იქ მოვა კაცი, რასაც ეს ათი მცნება გვასწავლის. ნეტა მე ეს აღვასრულო, რაც ამ ათის მცნებით ვისწავლე, სხვა სწავლა მე არ მინდა, არ ძალ-მიძს ნეტა ეს დაკიმარხო გულში, ტ ყველა მახსოვდეს, რომ ამ ათი მცნების წინაღმდეგ არა ვქმნარა. მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენის 20 წლის სწავლის შემდეგ იმაზე მიხვალთ, რაც მე ორ თვეს ვისწავლე. —ამ სიტყვების გათავების შემდეგ მღვდელ-მთავარს მუხლებს

ეამბორა.

მღვდელთ-მთავარი გაჰკვირდა ბენიას ასეთი მოსაზრებისაგან და უთხრა:—იყავ მაგრე და აღასრულე ათი მცნება. მეფეს დიდათ ესიამოვნა ბენიას ასეთი მოსაზრება და ქალაქში განითესა ბენიას ჭკვიანური სიტყვები.

ე

თეიმურაზ მეფეს ბენია ხშირად ეკამაციბოდა: მეფეს არაფერს უმალავდა, რასაც კი რამეს გაიგებდა, მაშინათვე აუწყებდა, რომ ესა და ეს პირნი საქართველოს შესახებ ასე და ასე ფიქრობენო. ბენიამ ბევრჯერ შეაწუხა მეფე თეიმურაზი.—მეფეო, თქვენ ვერ იქცევით გმირებრ, თქვენ ვერ ლაგმავთ დიდთა და ძლიერთა თავადთა, თუ მეფე ბრძანდები და სამეფო ხმალი გარტყიათ, მაშინ შენს სამეფოსთან რა სახელი და საქმე აქვს სხვა მეფეებს და მთავრებს.

—ვინ მეფეებს და მთავრებს? მრისხანედ ჰკითხა თეიმურაზ მეფემ.

—ვინ, რა ვიცი, ვინ არ არის საქართველოს მეფე, ყველანი: სპარსი, თურქი, ოსი, ლეკი, მაგრამ ესენი არაფერი, ამაზე უარესი მტრები სხვები არიან.

—ვინ სხვები, სთქვი ჩქარა, შე სულის შემპილწაო! მრისხანედ უბრძანა მეფემ.

— ვინ? მეფეო, და თქვენი მონათესავენი, ხოლო არა მეფენი. მინამ ამათ ხელიდგან ძალას არ წაართმევთ და თავზე მეხს არ დასცემთ, მინამ თქვენ მეფე არ იქნებით, არამედ უძლური ბატონი.

—ბენიავ, შენ გინდა რომ შეოთები ამატეხინო, წადი, გადი აქედამ, ჩემს მიწაზე ფეხი აღარ დასდგა, მომშორდი თავიდამ შე საძაგელო, შე მეშფოთეე და დავიდარაბის მოყვარეე, შე მაბეზღარო, ავ-ენავ.

ბენია ჯაავახელი კაცი იყო, ჭკვიანი, ბრძენი, როგორც მესხებს შეფერისთ. მეფის ბრძანების უმალვე ეს გარეთ გამოსვლას

მოემზადა, გამოსვლამდე მივიდა მეფესთან, მუხლებზე მოეხვია, დაჰკოცნა და ასე უთხრა:

—ძვირფასო მეფევ, ბატონო, გლახაკთა მწყემ და ობოლთა მოყვარეო! მე გიახლებით, ამას შემდეგ ჩემს მიწა-წყალზედ ვიელი, მაგრამ თქვენ-კი არ გეწყინოთ.

—არ მეწყინება, მიუგო მეფემ.

ბენია გამოვიდა და წავიდა ჯავახეთისაკენ. რავდენიმე დღის შემდეგ ჯავახეთიდამ ბენია თბილისში ჩამოსულა, და თან მოიტანა ერთი ურემი მიწა. ეს მიწა თავის სახლის წინ აქა-იქ დაყარა ეზოზედ იწყო სიარული. მეფემ ბენიას მოსვლის ანბავი შეიტყო, გაეხარდა, მალე დაიბარა და უთხრა:

—ბენია! აკი წაბრძანდი, რაღათ მოხვედი, არ იქმნა ვერ გასძელ უჩემოთ, ჩემ მიწაზე კიდევ შემოდგი ფეხი.

—არა ბატონო, მე თქვენს მიწაზედ არ მიდგას ფეხი, გეფიცებით პატიოსნებას, რომ ჩეს მიწაზედ მიდგა ფეხი, გინდ დაიჯერე, გინდ არა.

—როგორ თუ შენს მიწაზედ, ეხლა რაზედ სდგეხარ, შე ეშურმარილოვ შენა, ჰკითხა მეფემ

—ჩემს მიწაზედ, მიუგო ბენიამ

—ეს შენი მიწა არის! ჰკითხა მეფემ გაოცებით

— დიახ ჩემი გახლავსთ, მიუგო ბენიამ, მეფე გაკვირდა

—მაშ მეფეს და ბატონს გაუმარჯოს

—არა ბატონო, თქვენ გაგიმარჯოთ, რადგანაც გვირგვინოსანი მეფე თქვენ ბრძანდებით. მე ჩემის ქვეყნიდამ ერთი ურემი ძეწა მოვიტანე, ჩემს სახლში და ეზოში ყველგან ის მიწა მოვფინე და ჩექმებშიაც ის მიწა ჩაეყარე, ეხლა მე ჩემს საკუთარს მიწაზედ მიდგა ფეხი, ჭეშმარიტს მოგახსენებთ

მეფემ ბენიას ფეხსაცმელი გაახდევინა და დარწმუნდა, რომ ბენიას სიტყვა გამართლდა, რის გამო ბევრი იცინეს.

3

მეფე თეიმურაზის დროს ქალაქის ხალხი: ვაჭრები, ხელოსნე-

ბი და მუშები ძლიერ მცირე ხარჯს იხდიდნენ: ოჯახზე 30 კ. იყო და დუქანზე 70 კ. წელიწადში გადასახდელი. ერთს დღეს თბილისის ვაჭრები და ხელოსნები მოგროვდნენ და ურმებით გაემგზავრნენ კახეთისკენ, მიმავალი ურმებით მეფემ დაინახა და საჩქაროთ ყულურჩები და ბენია გამოუყენა ცხენით, რომ ამათ უნდა შეეტყოთ თუ ესენი სად მიდიოდნენ. მისელისათანავე ჰკითხა ბენიამ.

—სად აბარგებულხართ და მიდიხარო კაცნო?

—კახეთში მივდივარო, მიუგო ერთმა

—ჩოდრობა ხომ არ გინდათ? ჰკითხა ბენიამ

—რავქნათ, მელიქი მოსვენებას აღარ გვაძლევს, აქამდისინ მცირე ხარჯს ვაძლევდით და ეხლა თოთხმეტი შაური გაგვიხადა, ლიტრა ერთ აბაზათ ხიზალალა გახდა, სამშაურათ თევზი, კოდი პური აბაზი და ეხლა ორი აბაზია, ამდენ ხარჯსაც ზედ გვაწერენ, ჩვენ ვეღარ შევძლებთ მის მიცემას, მივალთ იქით, საითაც იაფი იქნება ცხოვრება და ცოლშვილს შევინახავთ

მაშ კარგი, უკან დაბრუნდით, მე მეფეს ყველაფერს გავაკეთებინებ ისე, როგორც თქვენ გსურთ

—აბა, ბენიავ, ვერ წამოვალთ, მიუგო მოწინავე პირმა.

—უნდა წამოხვიდეთ, არ შეიძლება, გაჩერდით ყველანი

—ვერა შენი ჭირიმე, მიუგო კვალად მოწინავე პირმა

—კარგი ერთი მამაგიცხონდა, ჩარჩობას და ჩოდრობას ხომ არ დაიწყებთ, მიუგო ბენიამ

—ჩვენ არც ჩარჩობას დავიწყებთ და არც ჩოდრობას, მიუგო მოწინავე პირმა

—რასაკვირელია ჩოდრობა არის, მაშ რა გგონია, ისე იქცევით, რომ ჩემგან გვარად შენ ლამის ჩოდრის შვილი დაგერქვას

მოწინავე პირი დასთანხმდა, აყრილი ხალხი მეფესთან წამოჰყვა. ბენიამ მეფეს ყველაფერი აუწყა, მეფემ მოამჩივართ თხოვნა შეიწყნარა და ყველას თხოვნა დაკმაყოფილა. ბენიამ მელიქის დასჯა სთხოვა მეფეს. მეფემ მელიქი დაიბარა და დიდათ სტუქსა. ქალაქის ხალხი კმაყოფილი დარჩა. ყველა მეფეს და ბენიას ლო-

ცაედა და იმ კაცს-კი, რომელსაც ბენია დაექადა სახელის დარ-ქმევას, მართლაც შემდეგ გვარად ჩოდრიშვილი დაერქვა

ერთი ქართველი კაცი დიდი შეძლების პატრონი ყოფილა, ბევრი ცხვარის და ძროხის ჯოგები ჰყოლია, თვით მეცხვარეთაც ნამყოფი და მასთან კარგათ ბებიობაც სცოდნია. ეს კაცი ერთს საღამოს სადღაც სტუმრად ყოფილა მიწვეული; სადაც ეს იმყოფებოდა, იმავე უბანში ერთ ოჯახში, იმ ღამეს მშობიარე ქალი ყოფილა და ამ ქალს განთავისუფლება ძლიერ გასჭირებია. ამის ამბავი მთელს უბანს სცოდნია. ერთს უთქვამს, რომ ამა-და-ამ სახლში ესა-და-ეს კაცი არის, იგი ჩინებულ მეცხვარეებთან ნამ-ყოფია, წავიდეთ იმას ვსთხოოთ, რომ მოვიდეს და ბებიას მაინც ასწავლოს რამე საშვალებაო. ამ ამბის მოსმენის შემდეგ კაცი მა-ღე გაუგზავნეს და იმ პირს სთხოვეს მონაწილეობის მიღება, მაგრამ მან უარი შემოუთვალა.

ამ დროს ბენიაც მშობიარე ქალის მახლობლად ყოფილა. ეს ამბავიც ბენიამაც შეიტყო, იგი საჩქაროთ წავიდა იმ პირთან და უთხრა:

—შე კაი კაცო, რატომ არ მიდიხარ და არა შველი იმ ქალისა, რას იბერები, ადექ, წამოდი ნუ იბერები, რადროს გაბერ-ილ არის, საწყალი ქალი ლამის მოკვდეს.

ბენიამ დაიყოლია ბებიობის მცოდნე პირი და თან წაიყვანა, ბენიამ იმდენჯერ ახსენა გზის გასვლის დროს რას იბერები, ნუ იბერები, რა დროს განაზება—გაბერვა არის, რაის გამო იმ მცოდ-ნე ქართველს კაცს შემდეგ დროებში თვით ბენიასაგან ბერელა-შვილი დაერქვა გვარათ

ბენია მეფეს ეახლა და მოახსენა:

მეფეო, ბატონო, დილომში, ერთი კაცი გახლავსთ, რომელ-მაც ექიმობა და ბებიაობა ჩინებული იცის

—ვისგან შეუსწავლია, ჰკითხა მეფემ

—მეცხვარებისაგან, მეცხვარეთ ყოფილა ცხერის და ჯოგის

პატრონებთან.

—ოჰ, შენმა მზემ, ვითომ პატრებისაგან შეუსწავლია

—პატარებისგან-კი არა, მეფეო, და დიდებისაგან შეუსწავლია გეფიცები, რომ უცხოთ იცის ექიმობა და ბებიობა.

ბენიამ მეფესთან მიიყვანა ბებიობის მცოდნე კაცი, მეფემ წყალობა მისცა

ᲘᲐ

თეიმურაზ მეფეს ერთ დროს მეტად ჭკვიანი ბენია ჰყოლია, აზიურის ენების მცოდნე, ცოტა რუსულსაც ამტვრევდა: მეფის კარზე მოსული რუსთა სტუმრებს ალხენდა ხოლმე. მეფე ბენიას არას დროს არ იშორებდა ყველდიდამ. თვით „მდივანხანშიაც“-კი თან ახლდა.

ბენია მეფის წინაშე ზოგიერთ საქმის გარჩევის დროს მონაწილეობასაც იღებდა, მაგრამ ჩუმათ. ეს თავის აზრს მეფეს განჩინების მიცემის დროს ჩუმათ წასჩურჩულებდა. ერთ დღეს ქალაქ თბილისში, სამეფო პალატაში, მეფე თეიმურაზთან მოვიდნენ ორნი მოჩივარნი აზნაურშვილები და მეფეს საჩივარი მოახსენეს

ერთმა მოახსენა:

—ბატონო და მამაო მეფევ, გეფიცებით ქრისტეს, რომ ის ადგილი ჩემია, რომელსაც ეს მე მედავება, უბრალოთ მართმევს და მაწვალებს, მეც მაწუხებს და თქვენცა, რას მემართლება, ბატონო მეფევ...

მერე მეორემ მოახსენა:

—მე, ღმერთს გეფიცები, ბატონო მეფეო, რომ ეს კაცი სტყუის, სულ ტყუილებს მოგახსენებთ, ის ადგილები ჩემს საკუთრებას შეადგენს, უბრალოდ მედავება, ჩემი დაჯაბნა უნდა მეფეო, სიონის ღვთისმშობელს გეფიცებით, რომ ჩემია ის ადგილები

—ცხეთის დედა სვეტისცხოველს გეფიცებით მეფეო, რომ ის ადგილები ჩემია, ეს უბრალოდ დავას მიჩენს. მიუგო მეორემ

—თქვენი საქმის გარჩევა, ბატონებო, ერთობ ძნელია, ამას გვირგვინოსანი მეფე ვერ გაარჩევს, აბა ბატონებო, მეფეს რათ აწუხებდით, რათ.

მოდით აქა, რაზედ მორბოდით?.

—რათა შენი ჭირიმე? მაშ რა ექნათ, ვის მივმართოთ, თუ არ მეფეს, მიუგეს მომჩივრებმა.

—თქვენ საჩიელელნი და მოსამართი არა გქონიათ რა. თქვენ ორიევნი მართლები ყოფილხართ, მეფეს რაღათ აწუხებთ, ახლა თქვენში მეფემ რომელი გაამართლოს და რომელი გაამტყუნოს? ვითომც თქვენა ბძანდებით გვირგვინოსანი მეფე და მე-კი მომჩიევანი, თქვენ წინაშე ჩვენც დაეიწყებთ ფიცსა და თქვენ გაგვასამართლეთ.

—ჩვენ ძაგას ვერ შევძლებთ. მიუგო ერთმა

—ოო თუ კი ამას ვერ შესძლებთ და ერთს ~~არ გაამართლებთ~~ და მეორეს არ გაამტყუნებთ, რომ შიგ შეცდომა არ მოგიეიდეს და ცოდვა არ დაიდოთ, მაშ გვირგვინოსანმა, მირონ-ცხებულმა მეფემ როგორ გაარჩიოს თქვენი საქმეები? იქნება შეცდა და მართალი გაამტყუნა, მტყუანი-კი გაამართლა, მაშინ ხომ ამის გვირგვინს უნდა მოეცხოს თქვენი ცოდვები.

მაშ რავქნათ? მოწიწებით დაეკითხნენ მეფეს. მეფემ ხმა არ გასცა, ამათი საჩიერისაგან დაიფიქრებული იყო.

—მე გეტყვით, რაც უნდა ქნათ, თუ ბატონი მეფე ნებას მომცემს, რომ მოგახსენოთ.

—აბა, სთქვი, ბენია, უბრძანა მეფემ.

—აი, მე რას მოგახსენებთ, ესენი ორიევნი მართალნი ყოფილან. მოდით ბატონო და ეს მამული ორიევს გაუყოთ. ერთმა სთქვა:

—ძლიერ კარგი იქნება, აგრე გახლდეს, მეორემ დაიყვირა

—რისთვის ბატონო, მეფევ, რისთვის უნდა გამიყონ, ჩემი საკუთარი მამულები, რას მემართლებიან?!

—ოოო! აი, ეხლა მიხვდით ვინ ყოფილა თქვენში მართალი, ეხლა აღმოჩნდა ყველაფერი, მიუგო ბენიამ. მეფე აღტაცებული დარჩა, საქმის გარჩევას შეუდგნენ და მტყუანი გამოტეხეს.

ეს ამბები „დაბადების“ მიბაძვით უნდა იყოს შენაცვალებული

თ

სპარსეთის ყეინმა საქართველოს კათალიკოზს კაცი გამოუგზავნა და ასე შემოუთვალა:

—მე ოცი ცოლი მყავს და არა მყოფნის, შენ არც ერთი და ჩემზე კარგათ კი ხარ. ერთი მითხარ, გეთაყვა, თუ შენ როგორ სძლებ, რომ მეც ისე მოვიქცე. კაცები მოვიდნენ კათალიკოზთან და მოახსენეს.

ამ დროს კათალიკოზი სახლის სანათურთან იდგა, ხელში კრიალოსანი ეჭირა და თან ხელთნაწერ წიგნს ავლებდა თვალს. ამ დროს ბენიაც იქ გაჩნდა და ამან ყველაფერი ნახა, რაც უთხრეს ყეინისაგან შემოთვლილი. ბენიას ჯავრი მოუვიდა და კათალიკოზს მიმართა. მღვდელ-მთავარო, რა პასუხს მისცემთ?

—არ ვიცი, ჭეშმარიტათ, რა შეუთვალო იმ უძღებს.

—თქვენ ხმას ნუ გასცემთ, ესენი იდგნენ ასე, ნურც დაჯდომისათვის ეტყვით რასმე, იდგნენ, იდგნენ ასე და ბოლოს უპასუხეთ წავიდნენ.—ამ სიტყვის გათავების შემდეგ ბენია სახლში წავიდა, თათრები დარჩნენ და კათალიკოზის პასუხს ელოდნენ, მაგრამ კათალიკოზმა ხმა არ გასცა, მოციქულები ფეხზე დგომისაგან ბეზარს მოვიდნენ, დაიღალნენ, მოთმინებისაგან გამოვიდნენ და ჰკითხეს კათალიკოზს:

—მთელი დღეა აქა ვართ, ფეხზე დგომით დავიღალენით და თქვენ პასუხი არ გვიბრძანეთ, რომ წავიდეთ და ჩვენს ყეინს მოვახსენოთ. კათალიკოზმა ხმა არ გასცა.

ესენი რომ დაიღალნენ, კათალიკოზს აღარა ჰკითხეს რა და თვით დასხდნენ საკარძელსა და ტახტზე; ამ დროს ბენიაც მოვიდა, თათრებმა კვალად განიმეორეს კითხვა, მაშინ ბენიამ უთხრა:

—კათალიკოზის პასუხი ის არის, რაც თქვენ აქ ნახეთ, წადით და ის აუწყეთ ყეინს, არ დაივიწყოთ კი. ამის მეტს სხვა პასუხს არ მოგცემთ

გავიდნენ და ყეინს მოახსენეს ყოველიფერი. ყეინი გაჰკვირდა ამაზე და ვერა გაიგო რა. მერე დაიბარა ზოგიერთი ბრძენი კაცები

და იმათ ჰკითხა ამის განმარტება. ბრძენი კაცები მიხვდნენ ბრძნულს დარიგებას და ყოველივე აუწყეს ყეინს, თან დასძინეს:

—ამის თქმელი კაცი ჭკვიანი უნდა იყოსო.

თ

მეფე ერეკლეს ჩვეულებადა ჰქონდა, რომ სადილზე ფლავს ბენია მიართმევდა. ერთხელ მეფემ დიდი სადილი გამართა, ბევრი სტუმრები მიიწვია, სხვა-და-სხვა საჭმელების შემდეგ მეფეს ფლავი ბენიამ მიართვა, როცა მეფემ თავისი წილი გადიღო, ბენიამ ჰკითხა:

—ვის მივართვა ფლავი, ბატონო მეფევ?

—ჩემს ერთგულს მიართვიო და გაუშვირა ხელი თავის პირდაპირ მჯდომ ბარათაშვილზე, რომლის უკან ამ დროს მწეარმეძებარიც იდგა. ბენია წავიდა ბარათაშვილისკენ და ფლავი უცებ ძაღლს-კი დაუდგა, მეფე დიდათ გაწყრა და ბენიას დაუყვირა:

—ეგ რა ჰქენი შე საძაგელოვო! ბენია გაიქცა, მაგრამ ჩქარა დაიჭერეს და მეფეს მოჰგვარეს. მეფემ გარდასწვიტა მისი დახჯა, პატიობა აღარ შეიძლებაო. მიიყვანეს მეფის წინ და საჩქაროთ კითხვა მისცეს:

—ეგ უზრდელობა რათა ჰქენიო, მაგგვარ საქმეში ხუმრობა ხომ არ გამოდგება?

—კი, ბატონო, მეფეო, მართალს ბრძანებთ, მაგრამ მეც მართალი ვარ.

—როგორ ხარ მართალი? სთქვი ჩქარა, ბრძანა მეფემ.

—ასე ბატონო, თქვენ მიბრძანეთ, ჩემს ერთგულს მიართვიო და მეც თქვენ ერთგულს დაუდგი.

—მერე ეგ იყო ჩემი ერთგული, ეიზედაც მიგითითე?

—ნებას მომცემთ, ბატონო, რომ მოგახსენოთ?

—თქვი ჩქარა, ბრძანა მეფემ.

—მაღალ ღმერთს გეფიცებით, რომ ის უფრო დიდი ერთგულია თქვენი, ვინემ ეს ორგვერდა პირნი, ეს ბრძანებულნი.

—როგორ? აღელვებით ჰკითხეს სხვებმა.

—ისე, რომ ეს მე უფრო ერთგულად მიმაჩნია მეფისა, ვინ-ემც თქვენ. თქვენ დალუპეთ საქართველო და თქვენვე დალუპავთ მას. თქვენ რომ მეფისა და ქვეყნის ერთგულები იყენეთ, მაშინ ხომ ქართველთა საქმეები ასე არ იქნებოდნენ დაქვეითებულნი? სჯობს ამაზე ლაპარაკს თაი დაეანებოთ, თორემ მე თქვენ შესა-ხებ იხეთ ამბებს და ცოდვებს გამოვაქვეყნებ, რომ მგონი მეფემ ერთი თქვენგანი თვალით აღარ დაინახოს.

II.

რაღაც ბედზედ ზენია ერთხელ ლეკებს ტყვეთ ჩაუვარდათ. ბენია კარგა ხანს იყო იქ დაჭერილი. მეფე ერეკლემ ბევრჯელ ისურვა მისი დასხნა, მაგრამ ბელადნი არ ანთავისუფლებდნენ, რადგანაც ბენია დიდათ აკინებდა და ართობდა მათ. ბენიას ძლი-ერ უნდოდა საქართველოში წამოსვლა, მაგრამ სიდგან რას გა-აწყობდა და მოახერხებდა?.

ერთხელ ბელადის ერთ მშვენიერ ცოლთაგანს, რომელიც ბე-ლადს უფრო უყვარდა, თვალები ასტკივდა, ასე რომ მალე სრუ-ლიად დაბრმავდა კიდეც. ბელადს ძლიერ სწყინდა თავის საყვარ-ლის ცოლის დაბრმავება. ერთ დღეს ამან გამოაცხადა: ვინც ჩემს ცოლს მოარჩენს, იმას ამდენსა და ამდენს საჩუქარს მივცემო. ბე-ნიამ ეს ანბავი შეიტყო და საჩქაროდ განუცხადა ბელადს:

—მე მოვარჩენ შენ ცოლს. ფიქრი ნუ გაქვს, მხოლოდ მაგის წამლის ბალახები აქ არ არის. ის ბალახები „გურჯის-ტანშია“ ე. ი. საქართველოში, თუ გამიშვებთ, წავალ, მოვიტან იმ ბალახებს, გავაკეთებ წამლებს და მოვარჩენო.

—კარგია, მაგრამ ჯერ ეს წამალი გააკეთე, რასაც აქ გა-აკეთებ და მერე წადიო.

—კარგია! მიუგო ბენიამ, მოკრიფა აქა-იქ რაღაცა ყვავილე-ბი, ააღულა წყალში, წყალი გასწურა საცერში და ერთ ტასტში ჩაასხა, ერთს პატარა თასში კიდევ მარილწყალი გასხნა და უთხრა ბელადს—ესენი შვიდ დღეს ასე იწყოსო, რადგანაც შვიდჯერ შე

ულოცეო, მერვე დღეს ჯერ ეს პატარა თასის წყალი მოისვას თგალებზე, რომ გაახილოსო და მერე ეს მეორე წყალი ისოს, რომელიც ერთიანად მოარჩენსო. თვით-კი მეორე დღეს საქართველოში წაამოვიდა. ამან რამდენიმე ლეკის ფალავანი კაცებიც წამოიყვანა, მოვიდა ბენია საქართველოში, რაღაც წამალი გააკეთა და ბელადს გაუგზავნა, თავათ-კი აღარ წავიდა. თან გამოყოლილი ფალავნები ბევრს ედავნენ: მაგრამ ბენია აღარ გაჰყვა, ასე ამ გვარად განთავისუფლდა ბენია. ამან ბევრი საიდუმლო ამბები უამბო მეფე ერეკლეს ლეკებისა და მათი ბელადების შესახებ, რაზედაც მეფე ერეკლემ დიდი მადლობა უბრძანა. ბელადის ცოლს ბენიას დარიგება უმეტ-ნაკლებოთ შეუსრულებია და მართლაც მორჩენილა!

ია

ერეკლე მეფეს სპარსეთის ყეინთან ომი მოუხდა. ომი ისეთი სასტიკი იყო, რომ ქალებიც-კი მონაწილეობას იღებდნენ: ეაშლოვნელი თამრო წუნეთელი მაია, წავკელი თინა და სხვანი. თვით მეფე ერეკლეც იყო ომში და როგორც უბრალო მეომარი ისე ომობდა, ბენიაც თან ახლდა, ესეც ვაჟკაცურადა ომობდა. ომში ორსავ მხრით ხალხი დაიხოცა, ორთავე მხრივე ტყვეები ჩაუვარდათ ერთმანეთსა, ბენია სპარსებს ჩაუვარდა ტყვეთა. ყეინმა მალე შეიტყო, რომ ესა-და-ეს ტყვე ბენია არისო, ამიტომ ბენიას სპარსეთში წაყვანა ბრძანა. სპარსეთში ბენია ყეინის კარზე სცხოვრობდა, ყეინს ალხენდა. ბენიას გარდა სპარსეთში ქართველთაგან ბევრიც სხვანი იყვნენ. ყველა ეს ტყვეებე დიდს გაჭირებაში იყვნენ ჩავარდნილნი, რადგანაც იგინი არ თათრდებოდნენ, უამისოდ-კი ყეინი საცხოვრებელს არ აძლევდა. ბენიამ ბევრჯერ ასმინა ყეინს, რომ ესა-და-ეს ტყვეები შეიბრალე, ნუ სტანჯავ, გაუშვი, შინ წავიდნენო, მაგრამ ყეინი არა შერებოდა, ეგენი უეჭველათ უნდა გავათათროო. მცირე ხნის შემდეგ ყეინმა გამოაცხადა: —მე, სახლში ორი საოცარი დედალ-მამალი მაიმუნი მყავს და ვინც ამ მაიმუნებს ლაპარაკს ასწავლის, იმას მე ამდენ საჩუქარს მივცემო. ეს ამბავი ყველგან ისმოდა, მაგრამ მაიმუნების ენის მასწავლებელნი-კი არავინ გამოდიოდა, ერთ დღეს ბენია

წავიდა ქართველ ტყვეებთან და უთხრა:

— ახლა-კი იმედი იქონიეთ, რომ თქვენ საქართველოს ნახავთ, თქვენ ნათესაეებთან და მეფესთან დაბრუნდებით.

როგორ! ჰკითხეს გახარებულთ ქართველებმა?

— ყეინი ასე-და-ასე აცხადებს, ვინც ჩემს წყვილ დედალ-მამალ მაიმუნებს ლაპარაკს ასწავლის, მე იმას ამდენ-და-ამდენ საჩუქარს მივსცემო. აი, ეს რამდენიმე ხანია, რაც ამ ამბავს აცხადებენ, მაგრამ ლაპარაკის მასწავლებელი არავინ ჩნდება.

— მერე ჩვენ რა? ჰკითხეს ქართველთ ტყვეებმა.

— თქვენ ისა, რომ ეხლა მე მინდა განუცხადო ყეინს, რომ მე ვასწავლი იმ მაიმუნებს ლაპარაკს შვიდის წლის განმავლობაში, თუ ის თქვენ განგათავისუფლებთ.

— რას ამბობ, ბენია, მაიმუნებს ლაპარაკს როგორ ასწავლი, ტყუილად მოჰკიდებ ხელსა დე მერე თავს მოიპრეეინებ.

— თქვენ მაგის ფიქრი ნუ გ-ქესთ, ეგ ბენიამ იცის.

— აბა ენახოთ! მიუგეს გახარებულმა ქართველთ ტყვეებმა, შენ თუ ჩვენს მეფეს და საქართველოს გვიჩვენებ, მაშინ ფეხზე საკოცნელი გაგვიხდები.

— ფიქრი ნუ გაქვთ, შვიდის წლის განმავლობაში ან მე მოვკდები, ან ყეინი და ან მაიმუნები დაიხოცებიან, ან მე დავხოცავ, მიუგო ბენიამ. ქართველთ ძლიერ გაეხარდათ. ბენია წავიდა ყეინის წინაშე და მოახსენა:

— დიდებულო მზე და მთვარეე, მე შეეასწავლი თქვენს დედალ-მამალ მაიმუნებს ლაპარაკს, თუ თქვენ ამა-და-ამ ტყვეებს გაანათავისუფლებთ.

— რამდენ ხანში ასწავლი, გიაურო?

— შვიდის წლის განმავლობაში, მიუგო ბენიამ.

— რომ ვერ ასწავლო? ჰკითხა ყეინმა.

— მაშინ ჩემი თავი ჩემს ტანზე აღარ იყოს, მიუგო ბენიამ.

— კარგი, აბა ეცადე გიაურო, რომ შენი თავი მოსაჭრელი არ გახდეს და ჩვენი ხმალი და ხელები არ წაიმურტლოს.

— მაგისი ფიქრი ნუ გაქვთ, მე უნდა გავთათრდე.

—აბა ამის შემდეგ უფრო ხშირად დაგიძახებთ გიაურს, მიუგო ყეინმა და ბენიას თხოვნით ქართველთ ტყვეებიც მართლა გაანთავისუფლა, ნება დართო საქართველოში დაბრუნებულიყვნენ. ყველა ტყვეებს დიდათ გაუხარდათ. იგინი მალე ჩამოვიდნენ საქართველოში. მეფე ერეკლეს მათ ყოველისფერი უამბეს, ყველას გაუკვირდათ ბენიას მოხერხება. რამდენიმე დღის შემდეგ ბენიას მაიმუნები ჩააბარეს სასწავლებლად და ამას ბიუჩინეს ერთი დიდი მშვენიერი ბაღი, იქ დაიწყო ბენიამ მაიმუნების სწავლება და მითომ წურთვნა.

მთელ სპარსეთში ხმა გავარდა რომ გურჯი ბენია ყეინის მაიმუნებს ლაპარაკს ასწავლიისო. შეიხულ ისლამს, მუბთებს, ახუნდებს, მოლა ყადებს და დიდრონ სასულიერო პირებს შეშურდათ, რომ ჩვენში არავინ გამოჩნდა მაგის მცოდნე და ვიღაც გიაური ქართველი-კი აღმოჩნდაო, ის უეჭველად უნდა გავათათროთ, უამისობა არ შეიძლება, ამისთანა კაცი არ შეიძლება, რომ გიაური გურჯათ დარჩესო.

მალე ესენი წავიდნენ ყეინთან და სთხოვეს რომ გიაური გურჯი ბენია გაათათრეთო, თორემ ჩვენთვის სირცხვილია, რომ ეგ აქ გურჯათ იყოსო. ყეენმა პირობა მისცა, რომ იმედი გქონდესთო, ბენიამ პირობა მომცა, რომ გავთათრდებიო. აი ეხლავე მოვიხმობ თქვენს წინაშე, ვეტყვი გათათრებას და თქვენვე გადმოგცემთ, რომ გაათათროთ. ბენია მალე მიიყვანეს ყეინის წინაშე. ყეინმა გათათრება უთხრა.

— არ შემიძლიან, რათ გავთათრდები, რა ძალა მადგა, არ მინდა, მიუგო ბენიამ, ყეენი სახტად დარჩა!

— შენ აკი დამპირდი გაეთათრდებიო.

— მართალია, მაგრამ ეხლა გადავიფიქრე, აღარ მინდა, მიუგო ბენიამ.

—საჩუქარს მოგცემ, მიუგო ყეინმა. ბენია ჩაფიქრდა და მერე უთხრა—რას მიბოძებთ?

—რაც გინდა, რასაც ითხოვ, თუნდ ტყვეთ განთავისუფლებას, რომ თავიანთ ქვეყანაში წავიდნენ.

—კეთილი, ბენია საჩქაროდ წავიდა ტყვეებთან და გამოუცხადა განთავისუფლება.

ქართველთ ტყვეები მალე საქართველოში წამოვიდნენ, მეფე ერეკლესთან მოვიდნენ და ბენიას ყოველნაირი გაიძვერობა უამბეს, თუ ეს უბრალო ქართველთ მასხარა კაცი როგორ თავის ნებაზე ათამაშებს სპარსეთის მეფეს, სპარსეთის მზესა და მთვარეს, იმ ყეინს, რომლის მონების და ხმლის ქვეშაც განისვენებდა მთელი სპარსეთი. თავრიზში ხმა გავარდა, რომ ყეინს გურჯი ბენია უნდა გათათრდესო. დანიშნულ დღეს მოლა-ხოჯებმა ბენია მეჩეთში წაიყვანეს და გაათათრეს. შემდეგ დაბრუნდა სახლში და ყეინს გამოეცხადა.

—დიდებულო მზე და მთვარევ, მე გახლდით მეჩითში, ეხლა რაღას მიბრძანებთ?

—ეხლა აღარაფერს, შენ ეხლა თათარი ხარ მიუგო ყეინმა.

—თქვენმა მზემ, რომ მე არ ვიცოდი თუ ასე უბრალოა და ამაზე იყო დამოკიდებული თქვენი თათრობა, თორემ მე აქნობამდისაც მივიღებდი თათრობას—მიუგო ბენიამ, ყეინს გაეცინა.

იბ

ერთს დღეს ბენია თავრიზიდამ საცაღა წავიდა, ცხენზედ უკულმა შეჯდა და ისე გამგზავრა ქალაქის დიდს ქუჩაზედ. ეს საქციელი ბევრს სჯულის თაეკაცებს ეწყინათ, ყეინს მასხარათ იგდებსო, დაიჭირეს ბენია და ყეინს ისე ცხენზედ უკულმა მჯდარი მიჰგვარეს და ამბავი აუწყეს.

—ცხენზედ უკულმა რათ შეჯექიო? ჰკითხა ყეინმა.

—მიტომ მზისა და მთვარის მგზავსო ბატონო, რომ მე თქვენ ისე მიყვარხართ, ისე პატივსა გცემთ, რომ ჩემს სხვაგან წასვლის დროსაც კი თქვენ ზურგი ვერ შეგაქციეთ, ამას მე თქვენ ვერ გაკადრებდით. უკულმა იმიტომ შეეჯექი ცხენზედა, რომ ვიდრე ჩემს თვალთ წინ დაილეოდა თქვენი სასახლის სურათი, მანამდის მაინც მეცქირა თქვენის ძვირფასი სასახლისთვის და მით მენეტარებინა თავი. ამ უბედურებმა-კი ვერა გაიგეს რა

ყეინს ჩაეცინა და ბენია უკანვე დაბრუნდა.

იბ

ერთხელ ყეინმა ჰკითხა ბენიასა:

—ბენია, შენ რა გვარი ხარ?

—მე, უგვარო გახლავარ.

—როგორ? ჰკითხა ყეინმა.

—ისე რომ მამა არა მყოლია, გვარი საიდამ მექნება?

მაშ საიდამ შეიქენი? ჰკითხა ყეინმა.

—ისე, რაღაცა უკაცოდ ჩავსახებივარ დედაჩემს მუცელში. ყაენმა ისურვა ამის დედის ნახვა და შეეხვეწა ბენიას, ოღონდ დედა შენი მაჩვენე და რაც გინდა მოგცემო, გაგანთავისუფლებო, ბევრს თვალ-მარგალიტს გაჩუქებ და დედაშენსაც წმინდანიეთ შევინახავთო. მალე დიდის საჩუქრებით ბენია საქართველოში წამოვიდა. მოვიდა თუ არა საქართველოში, მეფე ერეკლეს გამოეცხადა და ბევრი საოცარი ამბები უამბო. მეფემ ბევრი იცინა და ისიამოვნა; მერე ერთი ბერი დედაკაცი მოძებნეს და ბენიას სპარსეთში გააყოლეს, ბენიამ ეს დედაკაცი თან წაიყვანა, ყეინის ბრძანება მიტომ შეასრულა, რომ ამას იქით უფრო დიდი ნდომა მოეპოვებინა. ეს ბერი და ღატაკი დედაკაცი დედათ გაიხადა, შემდეგ გაბედნიერდა.

იგ

მეფე ერეკლეს სახლის წინ მშვენიერი ქუჩა ყოფილა. ქუჩის ორსავე მხარეს სხვა-და-სხვა ხეები იყო დარგული. თბილისის მოქალაქენი ხშირად გადმოდიოდნენ ხოლმე ამ ქუჩაზე და სეირნობით დროს ატარებდნენ. ერთხელ, შემოდგომის საღამოს, როცა სიცივე საკმარისად იყო, ამ ქუჩაზე სეირნობდნენ მრავალი თავადნი და მოქალაქენი; ამათში ერია ერეკლეს ბენიაც. დაბინდდა და სიცივემ უმატა, ხალხმა შინისკენ წასვლა დაიწყო, ბენიას მეზობლებიც გაეშგზავრნენ წასასვლელად. ბენიამ ჰკითხა:

—რას მიეჩქარებით სახლში, სახლები ხომ არსად გაგექცევთ?

—ძალიან ცივა, ჩვენ აქ დგომა არ შეგვიძლიან, მიუგეს მოქალაქეებმა.

—რას ლაპარაკობთ, სად არის სიცივე, გინდათ მთელ ღამეს კარში გაატარებ ტიტველა, მიუგო ბენიამ.

—ძალიან კარგი, აბა ერთი გაატარე და მაგალითი გვაჩვენე?

—მერე სანაძლეო რა იყოს, რას მიბოძებთ? ჰკითხა ბენიამ. ამათ მალე სანაძლეო დასდეს და მორიგდნენ. ბენიამ მთელი ღამე კარში გაატარა პერანგის და მისი ამხანაგის ამარა, მეორე დღეს ბენიამ მოქალაქეებს ნიძლავის აღსრულება სთხოვა, მენაძლავეთ გაუკვირდათ და ჰკითხეს.

—შენ, ბენია, ღმერთი თუ გწამს, სწორეთა სთქვი, თუ როგორ გაატარე ღამე? ალბათ ცეცხლი გქონდა სადმე და ზედ თბებოდი.

—ღმერთი, რჯული, რომ ცეცხლი თვალით არ დამინახავს, მიუგო ბენიამ.

—მენაძლავეები ჩააცივდნენ, არ ეშვებოდნენ და გამოკითხავდნენ ეჰვით, რომ უეჰველათ ცეცხლი გქონდა და მაზედ გამთბარხარო.

—ღმერთი, რჯული, რომ ცეცხლის ალი ჩემს ახლოსაც არ მოსულა, მე დავინახე მხოლოდ რომ კუკიისაკენ ერთი სახლის ბუხრიდგან ალი ამოდიოდა.

—ოჰ, მაშ მაზე გამთბარხარ, მიუგეს მოქალაქეთა. ბენიამ შეჰფიცა.

—რას ამბობთ, საიდამ სად შამეძლო გათბობა, ეგ რა სათქმელია.

—არა უეჰველად ასე გიქნია, მიუგეს მოქალაქეთა.

—გაგონილა ეს? მართალი გითხარით არა გჯერათ, ტყუილს რას დაიჯერებთ.

ბენიამ ვერაკინ დაარწმუნა და ამიტომ გულ-ნატკენი გაშორდა მათ.

გავიდა რამოდენიმე ხანი და ბენიამ მეჯლიში გამართა, მიიპატიჟა მენაძლევენი, თავად-აზნაური და მოქალაქენი, რომელთაც

ვერაფერი დააჯერა. სამეჯლიშო სტუმრები ერთ დარბაზში იყვნენ შეკრებილნი და დროს ატარებდნენ, ბენიამ სტუმრებს სთხოვა:

— ბატონებო, თქვენ წინაშე ბოდიშს მოვიხდი, რომ მე სამზარეულოში უნდა ვიქმნე მზარეულებთან, რომ კარგათ შეაზავონ საჭმელები და ნუ დამემდურებით, მაპატიეთ. სტუმართ ნება დართეს, ბენია გავიდა სამზარეულოში, მოვიდა სადილობის დროც, ყველანი სადილს უცდიდნენ, ბენიამ გაშალა კარგი სუფრა, ზედ მშვენიერი ჭურჭელიც დააწყო, კარგი თასები და ჭამ-ჭურჭელი, თითონ-კი ისევ გავიდა სამზარეულოში. დღე გადიწურა, ბენია-კი არსად სჩანდა. მოთმინებიდგან გამოსულნი სტუმრები სამზარეულოსაკენ გაემართნენ ბენიას სანახავათ, ბენია იქ არ დაჰხედათ, ცარიელ ქვაბებს ციცხეს ავლებდა და გარს უვლიდა. ხალხმა ჰკითხა—ბენია რას შვრები მაგას, რად გვამშევ?

— რას ვშვრები, ვერ უყურებთ ქვაბებს ურევ, აბა თუ კაცები ხართ გაძეხით ამ ქვაბების შორიდგან მზერით? სტუმრები განცვიფრებულნი დარჩნენ, ბენიას აღარა უთხრესრა და შერცხვენილნი და მშივრები დაბრუნდნენ. მეორე დღეს ეს ამბავი ერეკლე მეფეს მოახსენეს, მეფემ თურმე ბევრი იცინა.

IO

ბენიამ მთელ საქართველოში სახელი განითქვა, თვით შორეულ სპარსეთშიაც ყვინს ბენიას შნო და ოსტატობა მოახსენეს. ყვინმა ბევრჯერ ისურვა ბენიას ნახვა და მასთან საუბარი, მაგრამ ვერ იქმნა, ყვინს მალე ვერ ეღირსა ბენიას ნახვა. უკანასკნელ ხანებში, რაღაც სამეფო საქმეების გამო სპარსეთში ვინმე ერთგული პირი ყვინთან მოციქულად უნდა გაეგზავნათ. სიმეფო სახლში დიდებულთ კრება და თათბირი მოხდა, თუ ყვენთან ვინ გავგზავნოთო. ყველამ ბენიას გაგზავნა არჩიეს.

გადასწყვიტეს, რომ ბენია გავგზავნოთ: დიდებულთა წადილი მეფეს მოეწონა და მეორე დღეს ბენიას გამოუცხადა, რომ, შენ სპარსეთში შაჰის წინაშე მოციქულად უნდა წახვიდეო.

— მეტი რა გზა მაქვს, გიახლებით, რადგანაც ჩვენ მეფე ბა-

ტონს უნებებია, სთქვა ბენიამ. რამოდენიმე ხნის შემდეგ ბენია სპარსეთში წავიდა და ელირსა შაჰის ხილვას. კარის კაცებს მოახსენა, რომ მშვენიერის საქართველოს მეფის კაცი გახლავთ და თქვენ ნახვას ნდომულობსთქო.

—კარის კაცთა ახედეს, დახედეს, ერთის მხრით გაეცინათ კიდეც, მაგრამ მაინც წავიდნენ და მოახსენეს ყეინს.

—შაჰის ფეხთა წინაშე მშვენიერის გურჯისტანის კაცი მოსულა და თქვენის დიდებულების ნახვას ნატრულობს, შაჰს დიდათ გაეხარდა და ბრძანა:

მობრძანდეს. მსახურნი გამოვიდნენ და ბენია შაჰს წარუდგინეს. ბენიამ ბატონ-ყმური სალამი მისცა, შაჰმა რომ დაინახა ბენია, იგი სახტათ დარჩა! აღარ იცოდა რა ექმნა, ბოლოს ჰკითხა:

— თქვენა ბრძანდებით მშვენიერი საქართველოს მეფის კაცი, ჩემთან გამოგზავნილი?

— დიახ, მე გახლავართ, მიუგო ბენიამ.

შაჰმა განცვიფრებით უთხრა:

—ეგ კარგი, მაგრამ ნუ თუ საქართველოს მშვენიერთ შვილებთ შორის შენზე უკეთესი ველარ იშოვნეს, რომ შენ ამოგირჩიეს.

—დიახ, თქვენო დიდებულებავ, მშვენიერ საქართველოს ბევრი შესანიშნავი შვილები ჰყავს, მათში ბევრნი უუმშვენიერესნიც არიან, მაგრამ ბევრის რჩევის შემდეგ ის უმშვენიერესნი იქ გაგზავნეს, სადაც საჭირონი იყვნენ, მე-კი თქვენთან გამომგზავნეს.

შაჰს ამ სიტყვაზე დიდათ გაეცინა და ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი. თვით ბენია მართლაც საოცარი შეხედულობის ყოფილა: ტანით მაღალი, მეტათ წვრილი, გრძელი სახის მქონი, ქოსა, მაგრამ გრძელ ულვაშა, წინ ცოტა წვერი; მთელი სახე და ხელები ინით შეღებილი და ტანზე სპარსული ყაბა წამოსხმული, ერთი სიტყვით, მეტათ საოხუნჯო შესახედაობისა ყოფილა. ბენიამ აცნობა შაჰის: რომ მე ბენია გახლავართ, შაჰის დიდათ ესია.

მოვნა. ბენია დიდხანს აღარ გამოუშვეს საქართველოში.

03

მეფე ერეკლეს დროს თბილისში ბევრი მდიდარი კაცები ცხოვრობდნენ, ოქრო-ვერცხლი ყუთებით ჰქონდათ შენახული. ამ მდიდრებმა ეს ოქროები აღა-მაჰმადხნის წინეთ მიწაში აქა-იქ ჩაფლეს. ომის შემდეგ ქალაქი მოშენდა, მდიდრებმა ოქრო-ვერცხლის ყუთები ამოიღეს და წარმოება დაიწყეს. ამ დროს თბილისის ღარიბებმა მეფეს თხოვნა მისცეს, დახმარება მოგვეცით, რომ დაქცეული სახლ-კარი გავაკეთოთო. მეფემ დახმარება მისცა, მაგრამ ყველას ვერ გახვდა, ვერაფერი მიიღეს ამას ბენია კარგათ მზერდა. ერთს დღეს ბენიამ მოახსენა მეფე ერეკლეს:—ბატონო, მეფეო, თქვენი მოწყალება ყველაზე უხვი გახლავთ, ბევრმა მიიღო თქვენი უხვი წყალობა, ბევრიც დარჩა ისე უმოწყალოთ, ამათაც უნდა მისცეთ რამე.

—რა ექნა შვილო, რაც შემეძლო მივეცი, სხვებსაც მერმე მივცემ.

—თქვენ რაზე სწუხდებით მეფეო? მიუგო ბენიამ.

—მაშ სხვა ვინ შეწუხდება?

—თბილისში ბევრი მდიდარი კაცები არიან, ბევრს ბევრი ოქრო-ვერცხლიცა აქვს, დაიბარეთ იგინი და უბრძანეთ, რომ მდიდრებიც დაეხმარნენ იმ ღარიბებს თავიანთ ოქრო-ვერცხლიდამ. მეფე ერეკლეს ბენიას რჩევა მოეწონა და ერთ დღეს დაიბარა მთელი ქალაქის მდიდარი თავადიშვილები, აზნაურები, მოქალაქეები და გამოუცხადა ყოველივე.

—ცოტ-ცოტა დაეხმარეთ ღარიბ ხალხს თქვენის ოქრო-ვერცხლიდამაო. ორმა ძუნწმა მიუგეს: ოქრო-ვერცხლები სტამბოლში, თეირანში და თავრიზში ბევრიაო, ჩვენ ვინ მოგვცაო!

—მეც ეგრე მგონია, მიუგო მეფემ. ამ დროს ბენიაც იქ იყო და ამათ საუბარს უმზერდა. ეს საჩქაროთ გაიქცა ერთის ძუნწის სახლში, ამ ძუნწს და მის მეუღლესაც კარგათ იცნობდა, მეუღლე რაღაც მანქანებით აცდინა, აიკიდა ფულის სკივრი და წაიღო

მეფის სახლში. მერმე გაიქცა მეორე ძუნწის სახლში, იქიდანაც რაღაცა მანქანებით მოიტანა ოქრო-ვერცხლის ყუთი. ბენია შევიდა მეფის კრებულის წინაშე და მოახსენა კრებას და იმ პირებს, ვინცა სთქვეს, რომ ოქრო-ვერცხლი სტამბოლში, თეირანში და თაერიზშიაო.

— თქვენ, ბატონებო, უარს რათ ამბობთ, შორს რათ მისდიხართ, ან თქვენ ოქრო-ვერცხლს შორს რათა გზაენით, სწორეთა სთქვათ?— მდიდრები ფიცსს მოჰყვნენ.

—ბენიამ მიუგო. არა, ბატონებო, არა, აქ არი, აქა, თქვენთან, ახლო და გაიმეტეთ ოქრო-ვერცხლი ღარიბებისათვის. სტამბოლს, თეირანს და თავრიზს ოქრო-ვერცხლი ჩვენი არ არის, ჩვენი ის არის, რაც აქა გვაქვს.

—არა, ვინ მომცა, ვინ მომაქვავა, სთქვა ერთმა.

—აი, აქა გაქვთ, აქ არის, ახლოს თქვენზე, ეხლაე ნახავთ. სტამბოლში, თეირანში და თაერიზში ნუ გზაენით, შორს ნუ მიხვალთ. ბენიამ შემოიტანა საჩქაროთ ოქროთი სავსე სკიერები და დაუყარა წინ. დიდათ შერცხვათ ჩვენ ძუნწებს. ერთმა თავადის შვილმა სთქვა:

— მეფევ, თქვენი ჭირის სანაცვალო იყოს: დაურიგეთ, მოახსენა. სხვა მდიდართაც თანხმობა გამოაცხადეს, რომ ჩვენც ასე ვიზამთო. აღთქმის შემდეგ ბენიამ ლაპარაკი დაიწყო და ყველა შეარცხვინა ტყუილის ლაპარაკისთვის.

ᲘᲖ

სამშვილდის მცხოვრებთ მეფე ერეკლესთან თავიანთ მოურავზე იჩივლეს. მეფემ მცხოვრებთ საჩივარს ყურადღება მიაქცია და დროებით საქმის მმართველათ ბენია დანიშნა. ბენია მალე წავიდა სამშვილდეს და დაიარა სოფლები, გაიცნო ხალხი, გაიგო მათი ავი და კარგი და მერე სოფ. ბოგვში დაბინაედა. აქ დაიწყო საქმის მართვა და გამგეობა. მომჩივრები ვინც უნდა ყოფილიყოს და რაგინდ და რა დამნაშავე, ყველას ამართლებდა, არავის არ

ამტყუნებდა. ერთმა კაცმა ბენიას შენიშნა ესა და ამაზე დაეკითხა:

— ბენია, ეს როგორ შეიძლება, რომ შენ ყველა მომჩივარს ბრალიანს და უბრალოს ამართლებ, შენთან რაღად მოელენ საჩივლელად, რომ ერთიც მართალი იყოს და მეორეც, ცხადი საქმეა, რომ ორ'ში ერთი უნდა იყოს დამნაშავე, ერთი-კი მართალი, შენ-კი ყველას ამართლებ.

— დიახ, ეგრე გახლავთ, ჩემო ძმობილო, მაგრამ მე ასე ვარჩევ, მიტომ, რომ მაგგვარ სამართლით უფრო მეტ სიკეთეს დავთესს. მე მსურს, რომ ხალხში ძმობა, სიყვარული და მშვიდობა იყოს. მე ასე მიტომ ვასამართლებ ხალხს, რადგანაც მათ იმავე დროს ერთმანეთსაც ვარიგებ. ერთი რომ გავამართლო, მაშინ უნდა მეორე გავამტყუნო, აბა იფიქრე ახლა, თუ ასეთი გასამართლების შემდეგ უფრო შეურიგდებიან ერთმანეთს თუ მას შემდეგ, როცა ორივეს გავამართლებ და თან მორიგებას დაუდებ წინ?..რათ მოვიმდურო ან ერთი და ან მეორე.

ასეთი ოსტატობით ბენიამ მართლაც ბევრი მტრობა და შური მოსპო ხალხში, ყველა მტრები ამან დაამეგობრა ერთმანეთ შორის ასეთი მოსამართლობის მოხერხებით. ბენიამ მეფესაც მოახსენა: მეფეც დარწმუნდა მის სარგებლობაზედ, რადგანაც ეს საქმითაც ნახა მან. მას შემდეგ შემოიღეს თურმე ჩვენში ბენიას სამართლის ძახილი:—„რომ ბენიას სამართალსა ჰგავსო“.

IO

მეფემ ერეკლის დროს თბილისში ფულის ბანკი ნაზარ-ბეგის შვილსა ჰქონდა. იგიეე ზარაფიც იყო თურმე! ერთ დღეს ნაზარ-ბეგის შვილმა ისტუმრა ბენია. ბენია წავიდა მასთან, სადილის დროს ნაზარ-ბეგის შვილს ერთი მეგობარი მოუვიდა და მოწყალება სთხოვა:

—ნაზარ-ბეგის შვილო, მიწყალობე რამე, გაჭირვებული ვარ ნაზარ ბეგის შვილმა ორი შაური აჩუქა თურმე, ძთხოვნელს ეწყინა და უთხრა:

—ორი შაური, როგორ მკადრე, ან შენ თავს რათ აკადრე? ან მე რომ ეს მცოდნოდა—შენს სახლში ფეხს არ შემოვდგამდი ბენიამ ეს ყველაფერი ნახა, გაჰკვირდა და მთხოვნელს უთხრა:

—შენ, ძმობილო, დიდი უმართებულობა ჩაიდინე, ამის მოწყალება შენ თუ უჯეროთ დაინახე, შენ უფრო უჯეროთ მოიქეცი. შენ უნდა აგეღო ის რაც მოვცა, ხმა არ უნდა ამოგეღო და შენთვინ წასულიყავ.

მან გიწყალობა ის, რაც შეეძლო და შენ-კი ის წყალობა დაჰგმე! მეც უნდა მომეცა რამე, მაგრამ მაგ სიტყვის შემდეგ ვეღარ გაგიბედე, ვაი თუ მეც რამეს მეტყოდი.

—შენ არ-ფერს გეტყვი, მაგას კი მიტომ, რომ ძველი სოდაგარია, ჩემი ნამეგობრალი და შენ-კი დიდი შეძლება არა გაქეს, არც მე დაგემდურები

ბენიამ აიღო ქისა, ერთი ფული აჩუქა, თან დაუმატა.

—გაგონილა ასეთი მოწყალების გაღება, რომ მოწყალების გამღები თან ბოდიშს იხდიდეს, ხომ არ გეწყინაო. რაც შეეხება იმას ძმობილო, რომ ნაზარ ბეგიშვილი ნამეგობრალია და მე არა მდიდარი, ესეც ეერაფერი საბუთია, მაგას ბევრი ნამეგობრალი და ნაცნობი ღარიბი კაცები ჰყავს და თავის შეძლება რომ დანაწილოს და ორ-ორი შური ყველას დაურიგოს, მაშინ ორი შაური-კი არა თითო ბისტიც არავის ერგებ,ა ეს ამბავი თურმე მეფე ერეკლეს უამბო ბენიამ და თან დასძინა:

—რამდენი ეხლა შენ გეყოლება, მეფეო, ასეთი მთხოვნელთაგანნი, რომელნიც მოწყალებას ცოტათ მიიღებენ და არა იკმარებენ, მაგრამ ამაზე ნუ დაღონდები, კაცი, რომელიც ითხოვს რამეს, რავდენიც უნდა ბევრი მისცე, ის მაინც იმას არ იკმარებს, ასეა კაცის ხასიათი. მეფეს ძლიერ მოეწონა ბენიას მოსაზრება

X ითი

მეფე ერეკლეს ერთი მოქალაქე ეახლა და მოახსენა:

—დიდებულო ბატონო, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს და მოწყალება მიყავი, უარს ნუ მეტყვი.

— რა გინდა შვილო და ძმაო? კითხა მეფემ.

— მე მინდა, შენი ჭირიმე, რომ ესა-და-ეს ალაგი მაჩუქო, დაუსახელა ის ალაგი, რომელსაც სთხოვდა. მეფემ მოისმინა და პასუხად ვერაფერი უთხრა, დაფიქრდი. ამ დროს ბენიაც იქ იდგა. ბენიამ მეფეს აღარ დააცალა და მიუგო მოქალაქეს:

— ძმობილო! იმ ალაგს ტყუილად თხოულობ, იმას დიდი პატრონი ჰყავს.

მეფე თუმცა დაფიქრებული იყო მოქალაქის თხოვნაზე, მაგრამ ბენიას სიტყვა გაიგონა და ეს ერთობ მოეწონა. მეფემაც ისევე უთხრა:

— შვილო, იმ ალაგს დიდი პატრონი ჰყავს, ვერმოგცემ, სხვა ითხოვე.

— მოწყალეო მეფეე, ის ადგილებია ჩემთვის საჭირო, თორემ სხვას ვითხოვდი. იქ ბაღი მინდა გავაშენო, ბოსტნები და სახლს დავდგამ. მეფემ მაინც უარი უთხრა, მოქალაქე შინ დაბრუნდა დაღონებული.

მაშინდელ თბილისის მელიქთან წავიდა და შესჩივლა:

— მეფე ერეკლეს ესა-და-ეს ადგილები ვითხოვე და არ მომცა ვიდრე მეფე იტყოდა რამეს, ბენიამ სთქვა: რომ ამ ადგილებს დიდი პატრონი ჰყავსო და მეფემაც აღარ მომცა, ნეტა გამაგებინა თუ იმ ადგილებს ვინა ჰყავს პატრონი.

— მე, არაფერი ვიცი, მგონია იმ ადგილებს არავინა ჰყავს პატრონი. მიუგო მელიქმა.

— მაშ რა ქენა? მიუგო მოქალაქემ.

— შენ წადი, ბენიას შეეხვეწე, ქრთამი მიეცი და ის მ ეახერხებს.

მოქალაქე წავიდა ბენიასთან, ხვეწნა დაუწყო და ბოლოს ხალათს დაჰპირდა

ბენიამ უთხრა:

— ეჰ, რა გაეწყობა, რაკი არ იშლი, ვეცდები თუმცა შენ ის ადგილები ისე არ შეგრჩება, როგორც მე შენგან მოცემული ხალათი დიდხანა არ შემრჩება ტანზე. მაინც ვეცდები მეფესთან

რომ სყალობა გიყოს. ბენიამ მალე მოახერხა საქმე და მოქალაქეს ხსენებული ადგილები ეჩუქა მეფისგან. ამას შემდეგ განვლო რამდენმამე ხანმა, მოვიდა გაზაფხთლი, დაიწყო წვიმები, მოხდა წყალდიდობა, მოვიდა დიდი ნიიღვარი, ეცა იმ მოქალაქის ნაშენობას, ფარეხს, სხვა ყველაფერს და მთლად წალეკა და დაღუპა „მოქალაქეს ელდა ეცა და შეწუხებული მეფისკენ წავიდა, ყოველისფერი აუწყა, მეფემ მოისმინა, მოქალაქე ძლიერ შეიბრალა და უთხრა:

—აბა შვილო, ბენიამ არ გითხრა, რომ იმ ალაგს დიდი პატრონი ჰყავსო, ნუ ითხოვო, რათ ამოინიჟე და რაზე დაიღუპე თავი?

მეფემ მოწყალება მისცა ამ დაცემულ მოქალაქეს და გაისტუმრა.

კ

ბენია იმერეთში წავიდა და მეფის წერილები წაიღო იმერეთის მეფესთან, გურიელთან და დადიანთან. მეფისა და მთავროების წინ კაი ხანს დარჩა და მათი ზნე-ხასიათები შეისწავლა. ხუმრობაში დაფქვა ყველაფერი, სახუმრო ცნობები აღარა დარჩარა, გურიელის სახლში ერთ დღეს ყრილობა იყო და ბენიას უთხრა მთავარმა:

ბენია! თქვი რამე, რომ გავიცინოთ.

—რა ვთქა ბატონო, რაც ვიცოდი დავფქვი. ჩვენი აღარა დარჩარა და თქვენი ვერა შეეისწავლერა, მე სახუმარო აღარა ვიცირა.

—თქვი ბენია, თორემ მეწყინება, გაგვაცინე, ნუ ხარ მაგეთი.

ერთმა თავადიშვილმა:

—თუ არ იტყვი, იცოდე, რომ ბათუმში წაგათრევთ და გაგყიდით.

—რაზე, რისთვის, რა დამიშავებია, გაყიდვა თქვენ ღირსებას რაეა შეეფერება?

—ისთე, მიუგეს ბატონიშვილებმა.

—ისთე, მაშ მე გაგყიდით თქვენ.

რაეა გამიყიდა ვინ მოგცემს მის ნებას, ვინ გაგიშვებს, ვინა ხარ შენ, საიდამ მოსული და რა, რომ შენ მე გამყიდო.

—შენ ვიღა ხარ? საიდამ მოსული? ეის აშინებ, ვის წინა გინდა გეიყვანო შენი სიტყვები. მე შენ ვერ შემაშინებ. რასაც შენ შეიძლებ, მე იმაზე მეტს ვიქმ.

—შენ ჩემზე მეტს ვერ შეიძლებ.

—კი ბატონო, შევიძლებ. შენს ეაპრობას ჩემ შესახებ შენზე მოვაბრუნებ, შენ სითამამეს გავაქარწყლებ, მიტომ რომ მე ჯოჯოხეთის ანგელოზი გახლავარ, და შენ-კი სამოთხის ეშმაკი.

—აჰ, რაეა გაბედე შე წუწკო, შე აბდალო, ეის აკადრე მაგი, რაეა იქნება ეს? თქვი ჩქარა პასუხი.

—მოგახსენებთ.

ამ დროს მეფელი გურიის თავადები სულ-განაბული ისმენდნენ ბენიას საუბარს. უცებ გურიელს ცხვირი დააცემინა, ცხვირის დაცემინების ერთი საათის შემდეგ ბენიამ გურიელს ძიძართა და უთხრა:

—ჩეირი, ბატონო.

—რა დროს მაგია, როცა ცხვირი დავაცემინე, რატომ მაშინ არ მითხარ?

—მიტომ არ გითხარ, რადგანაც ცხვირის დაცემინების უმალ გეტყოდი ხოლმე, თქვენ მიბრძანებდით, რომ მოიცადე, მეორეთაც დავაცემინებ და მერე მითხარიო. ახლა დააცემინე, გიცადე, გიცადე და რომ აღარ დაგაცემინა, ახლა მოგახსენე ღვთის წყალობა, უმალ გითხარი და თქვენ მაუწყეთ, რომ გვიან მითხარიო, გვიან გითხარით და საყვედური მომეცით, რატომ ადრე არ მითხარიო.

ხალხმა იცინა ამაზე.

—მერე, აბა ერთი ის მითხარ, თუ შენ რა ეშმაკების ანგელოზი ხარ?

—მოგახსენებთ; მე საწყალ ეშმაკებში ვარ ჩავარდნილი, დღე და ღამე მოსვენება არა მაქეს, რადგანაც ეშმაკები ქვეყანას ანგრევენ, მონებს ანუ პატარაებს აწყალებენ: სტაეჯამენ, სულს ხუ-

თვენ პირში, შეილებს სტა

საქართველოს მეფეები ამტკიცეიდნენ. ერთხელ მეფე ერეკლესთან
[illegible] ლილის ხალხმა იჩივლა

— ჩვენი სულთნები ძლიერ გვაწვალებენ, საწყალი
[illegible] მთლათ აიკლეს და დაარბიესო, მოწყალება გვიყავით და სულ-
[illegible] გამოგვიცვალეთო.

— მე ყველაფერს შეეასრულებო, თქვენ არხეინათ იყავით, წა-
[illegible] ით შინა.

[illegible] ამ ოდენიმე ხნის შემდეგ სულთანს მეფის ბრძანება მიუვიდა, რომ
[illegible] ეს წინ გამოცხადიო. სულთანი მალე ჩამოვიდა თფილისში და მე-
[illegible] ს გამოეცხადა, გზაში ყველაფერი შეიტყო. მალე წარსდგა მეფის
[illegible] ში, ბატონური სალამი მისცა და თავის გამართლება დაიწყო.
[illegible] ეფემ სასტიკათ დააყვედრა ხალხის შეწუხება და დარბევა. მეფემ
[illegible] ულთანს გამოცვლა განუცხადა, სულთანი შეწუხდა და ფიცს
[illegible] ოჰყვა, რომ მე არა ვარ დამნაშავეო. ამ ამბებს ბენიაც უცქე-
[illegible] ოდა. სულთანი ცოტა ხნით კარში გავიდა. ბენიამ მეფეს მი-
[illegible] ართა:

— დიდებულო მეფეე, თქვენ ვერ იქცევით კანონიერათ,
[illegible] ქვენ ეს სულთანი ხალხის თხოვნით არ უნდა გამოსცვალოთ,
[illegible] ქვენის ნებით უნდა მოხდეს, თორემ თქვენ თუ დღეს ამას
[illegible] ამოსცვლით ხალხის თხოვნით, ხვალ შეიძლება ხალხმა თვით
[illegible] ქვენზედაც დაიწყოს ლაპარაკი, რომ შენ კაი მეფე არა ხარ და
[illegible] ეფეო ტახტს თავი გაანებეო. რას ბრძანებთ მაშინ, საქმე გაარ-
[illegible] ეთ, თუ სულთანი დამნაშავე აღმოჩნდეს, თქვენ ამისთვის იგი
[illegible] ასჯეთ თუნდ სასტიკად და ადგილს კი ნუ წაართმევთ. მეფემ
[illegible] ენიას რჩევას ბრძნულად შეხედა და ამიტომ სულთანის საქმეს
[illegible] ბოლოანირი ვამოძიება მისცა.

ᲙᲑ.

[illegible] ამ შინდელს ჩვენს ვაჭრებს საქართველოში საქონელი სპარ-
[illegible] ეთიდამ, რუსეთიდამ, ოსმალეთიდამ და ინდოეთიდამ შემოჰქონ-
[illegible] ათ. რუსეთში აქედამ სამ წელიწადში ერთხელ იკოდნენ
[illegible] ასვლა, რადგანაც საქართველოს ვაჭრებისთვის რუსეთის
[illegible] ჭრები სამ წელიწადში ერხელ მართავდნენ იარმუკა-

ბას ეკატერინეში, კავკავს იქით. აქაური ვაჭრები, ვინც-კი წასულიყვნენ მოინდომებდენ, ყველა ერთათ შეგროვდებოდნენ, ზოგს აქედან ფულს გარდა სხვა და სხვა საქონელიც მიჰქონდა და იქ სცვლიდნენ სხვა-და-სხვა ისეთ რამეებზე, რაც აქ არ იყო და საჭიროებას-კი შეადგენდა. აქედგან მიჰქონდათ ბამბა, აბრეშუმი, მატყული, შალები, ტყავები, წმინდა სანთელი და ბევრი კიდევ სხვა რამეები. წამსვლელნი ყველა ერთად წავიდოდნენ, ამათ სამეფო სამართველოდამ ქაღალდები ეძლეოდათ და თან კაცებსაც გაიყოლებდნენ, რომ გზაში არაფის გაეცარცვათ.

ოჰ! რო იცოდეთ, თუ მაშინდელი ვაჭრები რა ლხინით და სიხარულით მიდიოდნენ. რადგანაც მეფე ერეკლე ამათ დიდს მფარველობას უწევდა, ამიტომ ვაჭრები რომ დაბრუნდებოდნენ იარმუკობიდგან, ესენი იქიდგან თითო რასმე ფაქიზს მეფის ძალა-თმეევთ მოიტანდნენ და მოსელის შემდეგ მეფეს მიართმევდნენ. მეფეც ამაზე დიდს მოწყალებას აძლევდაეო. ზოგს ადგილებს, ზოგს ბაღებს, ზოგს დუქნებს და ზოგს კიდევ აზნაურობას და თავადიშვილობას.

როგორც მაგალითად 1730 წ. თბილელ ვაჭარ ბებუთის ძეს თავადიშვილობა მიუბოძეს, რადგანაც ესენი ვაჭრობას გარდა ქართულ ენის მთარგმნელებათაც იყენენ, და ხალხს აჩვენდნენ. მაშინდელს ერთს ვაჭარს აქედამ სამოცი თუმანი წაუღია საეაჭროთ, საქონელი მოუტანია, ის საქონელი აქ სამას თუმნად დაფასებულა საქონელი ოც ნაირი ყოფილა. ახლა ათი-ათასი თუმანი მიაქვსთ და ოც-და-ათ ნაირი საქონელი ვერ მოაქვთ, გაკოტრების ხსენებაც არ იყო მაშინ; არ მომხდარა, რომ ვინმე ვაჭარი, ან სოვდაგარი და ზარაფი გაკოტრებულიყოს, ეს თუ მოხდებოდა ომიანობის დროს, როცა ოსმალ-სპარს-ლეკები აგვიკლებდნენ და ყველა ფერს მოგვტაცებდნენ. მაგრამ, მაშინ ერთმანეთის მწუხარებას ისეთ თვალ-ყურს ადევნებდნენ, რომ დაცემულს კაცს ძლიერ მალე უშველიდნენ და ფეხზედ დააყენებდნენ.

სპარსეთში და ოსმალეთში წამსვლელ ვაჭრებსაც ღიდს პატივს სცემდა მეფე ერეკლე და ისევ მფარველობას უწევდა მათ.

რუსეთში ეაჭრობდა ერთი აქაური ვაჭარი, გვარად ხოჯი მინასოვი. რუსეთში ყოფნის დროს ეს ვაჭარი ძლიერ გამდიდრდა. რამდენიმე წლის შემდეგ დიდის სიმდიდრით თბილისში მოვიდა, მეფესთან წავიდა და სასახლის კარის კაცთ მოწიწებით სთხოვა:

—მეფის ირაკლის ნახვა მსურს, თუ შეიძლება მოახსენეთ, რომ მიმიღოს.

—ვინ ხარ შენ? ჰკითხეს კარის კაცთ.

—მე ვაჭარი ვარ, რუსეთიდამ მოსული, აქაური სომეხი.

კარის კაცნი მაშინათვე წავიდნენ და მეფეს მოახსენეს. მეფემ ნებართვა მიცა და მალე მიიღეს სასახლეში ეს ვაჭარი. ვაჭარი შევიდა და მეფეს თაყვანი სცა ბატონყმურად. მეფემაც სალამი ასცა. და თან ჰკითხა:

—აქაური ხარ შვილო, ვინა ხარ, საიდამ მოსულხარ?

—მე, მეფეო, აქაური გახლავართ. თქვენის წყალობით რუსეთში ვიმეოფები ვაჭრად. იქ საკმარისი სიმდიდრე შეეძინე, ეხლა იქ გიახლებით, სხვა-და-სხვა ნაირი საქონელი მოვიტანე და მინდა რომ ერთ ჩემ ნათესავს იქ საეაჭრო დუქანი გაუხსნა და მე კი ისევ იქითკენ გიახლებით. ეს ამბავი მეფეს ძლიერ გაეხარდა და უბრძანა:

—ოჰ, კარგია, შვილო, კარგია, ღმერთმა გაგამრავლოთ. დიდ ბიხარის, დიდათ, ღმერთმა ქნას, რომ თბილისში ბევრი დუქნები დახსნილიყოს, ახლა შენ რა გნებავს?

—მე შენი ჭირიმე, რუსეთიდან ცოტაოდენი რამე მოვიტანე. ქვენ უმაღლესობას უნდა მოვართვა და მინდა რომ ამის ნება დამრთოთ და არ გეწყინოთ.

—კეთილი, შვილო, არ მეწყინება, როგორ გენებოს. მეც ბატიეს მოგაპყრობ, რაკი თბილისში საეაჭროსა ჰსხნი.

—ბატონის წყალობა უხვი გახლავთ, მიუგო ამან მოწიწებით სალამით, გამოემშვიდობა. მეორე დღეს წავიდა მეფესთან და თან წაიღო დიდძალი რამეები, რომლებიც საქართველოში არ იცოდნენ. სინებზე დაწყობილი მიართვეს მეფეს.

ერეკლე მეფეს ძლიერ გაუკვირდა ასეთი რამეების სიუხვე და მილების შემდეგ ჰკითხა:

—შენ რომ ამდენი რამ მოგიტანე, ახლა ჩემგან რაღას ითხოვ? დიდის კრძალვით წადგა ეს წინ და მოწიწებით უთხრა:

—ბატონის მოწყალება კელავაც უხვი ყოფილა ჩვენზედ და იმედია, რომ არც ეხლა მომაკლდება. იმედი მაქვს, რასაც დავავალებთ, იმას მიწყალობებთ.

—რა გნებავს, რა გინდა? ჰკითხა მეფემ.

—მე, შენი პირიმე, რუსეთში ვაჭრობ, და იქ რომ კარგი გვარიშვილობით ვიქმნე ცნობილი, ეს თქვენთვისაც სასახელო იქნება, როგორც თქვენი ქვეშევრდომისთვის და მეც ძრიელ დავწინაურდები, ამიტომ ვითხოვ მოწყალებას, იმედიც მაქვს, რომ თქვენ მე თავადის შვილობას მიბოძებთ. ამაზე მეფე შეფიქრიანდა და უთხრა:

—მაგის პასუხს ხვალ მოგცემო, დღეს მოველაპარაკები ჩემს კარის კაცებს და ხვალ მოდი აქაო.

ვაჭარი გამოემშვიდობა და შინისკენ გასწია. მეფე ერეკლემ თავის სამეფო პირებში მოილაპარაკა. ამის შესახებ ყველამ უარი სთქვეს! რას გაგიჟებულაო, თავადიშვილობა როგორ შეიძლება მიეცესო. აქვე იმყოფებოდა ბენია. ბენიამ დაიწყო სიტყვა—მჭევრით ლაპარაკი: არა უშავს რა მეფეო და ბატონებო, ებოძოს მეფის წყალობა, მიეცით თავადიშვილობა, მაგაზე არ დაკარგ ბა, ეგ ვაჭრობას დაიწყებს, დუქნებს დახსნის, ქარვასელებს გაკეთებს, ვაჭრობას ფეხზე დააყენებს, მდიდარი კაცია. ბენიამ ისაუბრა თურმე, ისე ოსტატურად მოიქცა, რომ ყველა თავადიშვილები დაიყოლია და მეფე თანახმა გახდა, რომ მიეცეს თავადიშვილობა, რადგანაც პირველი—მდიდარი კაცია და მერე საქართველოში დიდს ვაჭრობას გამართავს, თბილისში საქონლებს დახსნის და ვაჭრობა ფეხზე დადგება.

რამდენიმე დღის შემდეგ ვაჭარს გამოეცხადა, რომ თავადობას მიიღებო. მალეც მიულოცეს სამეფოს სახლიდგან დაირიგ. დიპლიპიტოთი, საზანდარ-ზურნით თავადიშვილებმა მეფის მოწ-

ყალება. ასე ახალისებდა ხოლმე მეფე ერეკლე ეაჭრებს. ეს გვარი მეფე ერეკლეს და გიორგი მეფის დრომდის კი თავადიშვილობდნენო და რუსების შემოსელის შემდეგ-კი დიდი გიორგი ერისთავმა უარიჰყო ამათი თავადობა. დაარღვია ერისთავმა კანონიერი თავადობა და არც რუსის მთავრობას აცნობა ამათ შესახებ.

ამის გამო ხოჯი მინასოვებმა რუსეთში გადასულ ბატონიშვილებთან იჩიელეს, რომ ერისთავი მეფე ირაკლის ანდრესძს და პირობას არღვეეს და გვიშველეთ რამეო. ბატონიშველებმა მუქარების წერილი მეწერეს, რომ პაპიჩევნის დამტკიცებულს ქალალდს და ანდრეძს ნუ არღვევთო. მაგრამ, ეს არავინ შეისმინა, მეფე ერეკლეს ანდერძი დაარღვიეს, მის დამტკიცებული ქალალდებიც უარ ჰყვეს.

ბგ

მეფე ერეკლეს შინ ყმა კარის კაცათ ერთი მოქალაქე ჰყავდა. ამ მოქალაქეს სახელად ბაბანა ერქო. მეფის მოწყალებას მათხოვრებს ეს ურიგებდა ხოლმე. ამ დარიგების დროს იგი ძლიერ ბევრსაც იპარვდა. გლახას მანეთის მაგივრად აბაზს აძლევდა და დანარჩენს თვითონ იღებდა ხოლმე. მოვიდა ერთხელ მეფესთან ერთი გლახა და მოწყალება სთხოვა. ეს გლახა იყო მოქალაქე კაცი, ხოლო სიბერის ჟამს გაღარიბებული.

მეფემ იცოდა ამის ამბავი, ამოიღო ყუთიდამ ათი თუმანი თეთრი ფული, დაუძახა ბაბანას და უბრძანა:

— წაიღე ეს ფული და აიმ გლახას მიეცი. ბაბანამ გამოართვა ფული და წავიდა, მეფე-კი თავის ოთახისკენ შებრუნდა ბაბანამ ათი თუმნისი მაგიერ ათი შაური მისცა თურმე გლახას და გაისტუმრა. დანარჩენი თითონ აიღო. წაიღო და თავის შვილს მისცა, რომელსაც სახელად გლახა ერქო. ამან მესამე-მეოთხე დღეს თბილისში დუქანიც გახსნა და ეაჭრობაც დაიწყო. შეიტყო ეს ამბავი ბენიამ, მოძებნა ხსენებული მოქალაქე - გლახა, ყველაფერი გამოჰკითხა და გაძრა ხელმეორედ მიგზავნა მეფე ერეკლესთან მოწყალების სათხოვნელად. მეფემ ბენია

გაუგზავნა და შეუთვალა: ამას წინეთ ათი თუმანი მოგე და ახ-
ალე როგორ დახარჯეო. გლახამ მიუგო გაოცებით, რომ მე ათი
თუმანი არ მიმიღიაო. ბენია წავიდა და მეფეს მოახსენა ეს ამბავი.
მეფემ საჩქაროდ ბაბანა დაიბარა და ჰკითხა:

— მე რომ ამას წინეთ ათი თუმანი გარდმოგეცი და გითხარ,
რომ წაიღე და აიმ გლახას მიეცი, შენ ის ფული რატომ არ გა-
დაეცი მას.

— მე, მეგონა მოწყალეო და დიდებულო მეფეე, რომ ჩემს
შვილს „გლახას“ გადასაცემად გარდმომეცით და მაზე მიბრძანეთ,
მე ჩემს შვილს გლახას გარდავეცი და იმას თქვენი ასეთი მოწყალება
ძლიერ გიეხარდა; იმ ფულით ამა-და-ამ ალაგს დუქანი გახსნა და
ეაჭრობს დღეს მშვიდობიანათ თქვენის წყალობით.

მეფე გაჰკვირდა ამაზე, მაგრამ რაღას იზამდა. გლახას ხელ-ახლად
მისცა მოწყალება და გაისტუმრა. ბაბანას კი აღარაფერში ენდობო-
და ხოლმე ამ დღიდამ. ის თანამდებობა ჩამოერთო კიდეც. ამ ბაბა-
ნას შვილი-კი ვაჭარი—ეაჭრობაში დახელოვნდა, გამდიდრდა, და
ბოლოს გვარად მამის სახელი დაირქვა, რომელიც შემდეგში გადა-
კეთდა ბაბანასოვად, ასე, რომ დღევანდელ თბილისის გამოჩენილ-
ნი მოქალაქე ვაჭრები—ბაბანასოვები შთამომავალნი არიან მეფის
ირაკლის კარის კაცის ბაბანასი. ბაბანა აზნაურობასაც მიიღებდა,
მაგრამ ამას ვეღარ მოესწრო, რადგანაც ეს შენიშნულ იქმნა მეფი-
საგან. გლახა ბაბანაშვილი ერეკლე მეფის სიკვდილის შემდეგ გიო-
რგი მეფემ მიიღო სამეფო სამსახურში, როცა საქართველო რუსეთს
დაუკავშირდა და რუსები უნდა შემოსულიყვნენ, მაშინ დარიალი-
საკენ სამგზავრო გზის გასაკეთებლად სხვათა მოქალაქებში ერია
ბაბანაცა.

კდ

ერთხელ ბენია მეფე ერეკლეს ეახლა და მოახსენა:

— მეფეო, ერთი-რამ მესიზრმა და უნდა მოგახსენოთო, ბატონო

— სთქვი, უბრძანა მეფემ.

—ამ მოკლე ხანში ქიზიყს ლეკები დაეცემიან და ააოხრებენ ,ოქვენ თუ მდევარი არ შეაგროვეთ და არ მიეშველეთ, საქმე გაჭიროება.

—ვინ მოგახსენათ, საიდამ შეიტყვეთ, ამის მოხსენება ვინ მოკართვა ჩემზე წინად? უბრძანა მეფემ.

—მე ასე მოგახსენებთ, მე ჩემს ვალს ვიხდი, და ახლა თქვენ ,ცით. თუ ყურადღებას არ მიაქცევთ, ბოლოს ნახავთ რაც იქ-ნება.

—მითხარ, საიდამ შეიტყვე ეგ ამბავი? უბრძანა მეფემ.

—თქვენ რა გეკითხებათ, ვისგან შევიტყეე, მართალს მოგახ-სენებთ, ტყუილი მე ჩემს დღეში არ მითქვამს.

—მეფე დაფიქრდა. საღამოზედ მეფემ დიდებულნი დაიბარა ,ლა ეს ამბავი გამოუცხადა. დიდებულთ მოახსენეს:

—მაგას ყურს ნუ ათხოვებთ, სადმე რაღაც ლაპარაკს ყურს ,ეიკრავდა და ის ულაპარაკნია თქვენს წინაშე.

საქმე ამის შემდეგ, თითქმის დავიწყებას მიეცა, მეფე არა ,ვიარ განკარგულებას არ სცემდა ქიზიყის საშველად.

მეფე ერეკლეს თავისს საწოლს გვერდით სამლოცველო ოთ-ახიც ჰქონდა, სადაც ანალიღიაც იდგა. ერთ დღეს ბენია ანალო-ღიას ქვეშ დაიმალა. მეფე შეეიდა სამლოცველო ოთახში ერთ კუთხეში დაიჩოქა და დაიწყო ლოცვა. როცა ლოცვა გაათავა, ,ეს დროს ანალოღიის ქვეშ ბენიამ მეტად წმინდის და თან შეცვ-ლილი ნაზის ხმით ნელა დაიყვირა. მღვთის მშობელო შენ უშვე-ლე ქიზიყსა.

ამ წუთს მეფემ ლოცვა უკვე მოათავა და თავისს ოთახისკენ მიდიოდა მეფემ ეს ხმა რომ გაიგონა, ცოტა ხანს შედგა, გაოც-და საჩქაროთ დარბაზისკენ გასწია და უმაღლესი პირნი დაიბარა. ბენიაც საჩქაროთ გამოვიდა ანალოღიის ქვეშიდამ, სამლოცვე-ლოს ფანჯარა გააღო და საიდგამაც გადმოვიდა, იქიდანვე გადა-ვიდა

უმაღლეს პირნი მალე მოვიდნენ, მეფემ ყოველივე აუწყა უმაღლესთ მოახსენეს:

— მეტი გზა არ არის, უნდა ყურადღება მიექცეს და მდევარი შეიკრიბოს.

სამეფო ბრძანება მალე გამოაცხადე. მდევარი შეიკრიბა, ყველა შეომარი გმირები მოგროვდნენ. მეფემ გმირებთან ერთად თათბირი ჰქმნა, მოემზადნენ და გაემგზავრნენ ქიზიყისაკენ. ლაშქარს მეფე ერეკლეც თან გაჰყვა, ბენიაც თან წაიყვანა.

ამ ამბებისაგან გაკვირვებულნი იყვნენ ყველანი. მეფე დაემუქრა ბენიას:

თუ შენი ნათქვამი არ გამართლდა და ამდენმა შრომამ და ხარჯმა უბრალოდ ჩამიარა, იცოდე, რომ სასტიკათ დაგსჯი და ნარიყალას ჩაგსომო.

—აღსრულდეს თქვენი ბრძანება, მაგრამ ფიქრი ნუ გაქვთ ყოლივე გამართლდება, თქვენ მხოლოდ ცოტა მოიცადეთ, მიუგო ბენიამ

რამდენიმე ხნის შემდეგ მეფე ერეკლე ლაშქრით უკვე ქიზიყში იყო. არაფერი ამბავი იყო, ასე რომ მეფისა და ჯარის მოსელა ყველას გაუკვირდათ, ქიზიყის სარდალმა მოახსენა:

—მეფეო თქვენმა მზემ. ბენიას შეუცდენიხართ, სხვებმაც ასე მოახსენეს

—ბენიამ მოახსენა მეფეს:

— მე ვითხოვ, ბატონო მეფე, რომ ქიზიყელნიც საჩქაროთ მოემზადონ, თორემ საქმე შეიძლება გაჭირდე!

ბენიას თხოანით ქიზიყელნიც მოემზადენ. ამის შემდეგ არ გასულა რამდენიმე დღე, რომ დაღისტნის ბელადების წინამძღოლობით მართლაც მთელი ქიზიყს აუარებელი ლეკის ბრბო მოაწყდა. აქ უცებ გაიმართა ომი და ლეკები ისე იძლივნენ, რომ ასი კაცი ვეღარ გადარჩა ქართველების ხმალს. მტერი გააქციეს, ბელადები დახოცეს და ისე შეაშინეს, რომ მას დღეს მერმე ქიზიყზე ქურდულად ნავარდობას სრულიად დაეხსნენ. ომის შემდეგ ქიზიყლებმა მეფეს სადილი გაუმართეს. სადილზე ბენიაც იყო და იქ მყოფთ დიდებულთ ძალიან აცინებდა. ბევრმა ისურვეს ამის გაგება თუ ბენიამ რითი შეიტყო ამის ამბავი,

რომ ქიზიყს ლეკები უნდა დასცემოდნენ, ამაზე მეფეს სოხოვეს, რომ ეკითხნა ბენიასთვის, თუ ამას არ ეტყოდა, მაშინ ივი სიკვდილით დაესაჯნა.

მეფემ ბენია მიიხმო თავისკენ და უბრძანა:

—ჩემო ბენია, შენ რაც მითხარი, ყოველივე ასრულდა, ახლ ისიც უნდა შემატყობინო, თუ როგორ გაიგე შენ ის ამბავი. მეც და აქ მყოფთაც დიდათა სურსთ ამის შეტყობა, თუ არ მეტყვი, იცოდე, რომ ძალიან მეწყინება, ბენიამ მოახსენა:

—დალისტნის ბელადის ბენია ამას წინეთ თბილისში იყო, იმან მიამბო ბევრი რამ და სხვათა შორის ისიც მითხრა, რომ ჩვენი ბელადები ქიზიყზე გამოლაშქრებას აპირებენ ამა და ამ დროსაო, იქნება მაშინ მეც წამოვყვე და კიდე განახოვო. მე მისი სიტყვა გულში ჩავიმარხე და ხოლო თქვენს უმაღლესობას ვაცნობე, ეგ რომ მოგახსენეთ, თქვენ ხომ არ დაიჯერეთ. რადგანაც უმაღლესნი ქართველნი მოგახსენებდნენ, რომ ბენია სტყუისო. საქმე რომ გამიჭირდა და თქვენ ვერ დაგარწმუნეთ, მერე ხერხი მოვიგონე: ინანოღიის ქვეშ დავიმალე, ხმა შევიცვალე და ანგელოზის ხმით დაგიძახეთ, მღვთის მშობელო, შენ უშველე ქიზიყსაო და ამას თქვენ მაშინათვე ყურადღება მიაქციეთ

ᲙᲔ

მაცდური ბენია აუტყდა ერთხელ მეფეს

—ნეტა ერთ დღეს თქვენი სამეფო ტახტი მე მომცა და მეფედ გამხადა?

—რად გნებავს? რას იზამ? ჰკითხა მეფემ

— ის მე ვიცი, რასაც ვიზამ, მიუგო ბენიამ.

მეფემ შეისმინა ბენიას თხოვნა და უთხრა:

—კარგი, მოგცემ ერთი დღის მეფობას და ვნახოთ რას იზამ. მეფემ დაიბარა დიდებულნი კარის კაცნი და უბრძანა, რომ ხვალ ჩემს ტახტზე ჩემს მაგიერ ბენიე უნდა დაჯდეს მეფედ და თქვენ ისე უნდა ემსახუროთ მას, როგორც მეო. კარის კაცებში მეფის ესეთი განძრახვა ბევრს ეწყინა, მაგრამ რას იზამდნენ, მეფეს არაფერი უთხრეს. გაოენდა დილა, მივიდნენ კარის კაცნი და დიდ-

ბულნი, მალე გამოცხადდა ბენია, დაჯდა სამეფო საყარძელზედ. [illegible] ეწყუეს საუბარი და მსახურება. ბენიამ ამ დიდებუ- [illegible] დაარია რამოდენიმე კაცნი, რომელნიც უფრო უსამარ- [illegible] ეყინენ, საწყალი ხალხის შემწუხებელნი, მექრთამენი.

—დღეს თქვენ უნდა დამატაროთ მთელი თბილისის სამმარ- [illegible], საპატიმროები და ყველაფერი საქმე უნდა მაჩვენოთ.

—კეთილი, მუგეს დიდებულთა.

[illegible] ბენია მალე გამოვიდა სამეფო სახლიდამ და წავიდა, თან გაჰ- [illegible] ყველა დიდებულნი. ამან დაიარა ყველა ადგილები, საპატი- [illegible] ბევრი პატიმარი განათავისუფლა, რომელნიც უმართლოდ [illegible] ბევრი მოხელე მოქრთამეობისაგამო სამართვე- [illegible] გამოიგდო, ბევრს ბევრნაირი შიში და მუქარა მისცა. ნა- [illegible] თბილისის სამართველოები და იქ ბევრი უწესობა [illegible], საქმეების შემდეგ, დაბრუნდა შინ და სადილი მიირთო; [illegible] შემდეგ საოხუნჯო დარბაზში შევიდა, ყალიონის წევა [illegible] დიდებულთ ესაუბრებოდა, უცებ დაახველა დიდათ, ხვე- [illegible] ეთაფების უმალვე დიდებულთ დაუყვირა; დაიჭით ხველა [illegible] თქვენი უსამართლობა ვიცი, ყველას მეფეხთან დაგაბეზ- [illegible] ვებს დაგჭრით, ჩქარა, თქვე ასეთ ისეთებო.

ᲙᲗ

ბენია [illegible]ᲠᲡᲗᲐ დიდრონ კაცებმა დაჰპატიჟეს და განიძრახეს [illegible] ამისა, ისეთ საქმელების მირთმევა, რაც მას [illegible] ეყუბს და ხელ პირს გაუთხუნავდა. სადილზე მიართვეს [illegible] ლო, მაწონი და თაფლი. ბენიას ჯაერი მოუვიდა და მასპინძლებს უთხრა:

—რათ შერებით ამას, რატომ სხვა საქმელები კი არ მო- გაქვსთ?

როგორ გეკადრება ბენია, რა რიგია, განა სტუმარს მასპინ- ძლის ზინაალმდეგ ეთქმის რამე, ჩვენ რაც გვაქვს, შენ ის მიირ- თეი. სირცხვილი შენთვის.

—კოვზები მაინც არა გაქვსთ?

— არა.

ბენიამ თაფლი წაისვა გრძელს წვერსა და უ[illegible]ვაშებზე და ა[illegible]ის შემდეგ დაუწყო დოსა და მაწონს გძელი თითებით ჭამა დ[illegible]ჩერება.

სპარსთა დიდმა კაცებმა რა ნახეს ბენიას ასეთი მოხერხებ[illegible], [illegible]ერე კი მიართვეს ყოველივე შესაფერათ და საუბარი დააწყებინეს.

კზ

ქართლის მეფეს იმერეთ ბატონიშვილებს ეთხოვნათ, რომ ბენია მცირე ხნით ჩვენსკენ გამოგზავნეთო. ჩვენს მასხარას გავაცნობთ და აგინი ერთმასეთს ბევრს სალხინო რამეებს ასწავლიანო ბენია მალე წავიდა იმერეთში. იმერეთ მეფის წინაშე დიდი შნო[illegible] და მახვილი გონიერება გამოიჩინა. მასხარასთანაც დიდი კამათი დიდი ბჭობაც გამოიარა. მასხარამ მისგან ბევრი რამ ჭკუიერი ცნობები ისწავლა. ერთ დღეს იმერთ თავადისშვილის ოჯახში მიცვალებული იყო, ეს მიცვალებული სახელოვანი კაცი ყოფილა. ჭირისუფლებთ იმერთ მეფეც დაუპატიჟნიათ. მეფეს ბენია თან [illegible]ოყვანია. ბენია იმერთ ტირილს დასწრებია, ყველაფერი უნახავს [illegible]ცვალებულის გასვენების დროს, მეფეს ბენიასთვის უკითხავს:

—ბენია! იმერთ ტირილი როგორ მოგეწონა. აბა ხომ ნახე, როგორ იციან ჩვენში მიცვალებულის გლოვა

—ბენიამ მიუგო

—ეს ბატონო მიცვალებულის გლოვა-კი არ გახლავსთ არამედ ცოცხლებისა, მე ეს ცოცხლების გლოვათ ჩავსთვალე.

—როგორ? ჰკითხა მეფემ

—ასე ბატონო, მკვდრის მწარედ დატირვა, ასე გოდება მე მეტად მიმაჩნია. ჩვენი მწარე გოდება მკვდარს არ ესმის, რომ გაიგოს ჩვენი მისი მწარედ დატირვა, ამიტომ ეს ტირილი მისთვის უმნიშვნელოა, ხოლო ჩვენთვის-კი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, რადგანაც ეს ჩვენი ტირილი იმდენათ მკვდრისაგან არ გახლავსთ გამოწვეული, რამდენიც თვით ჩვენის გრძნობისაგან, ჩვენის გოდებისაგან, და წუხილისა/ან. ჩვენ რომ ვხედავთ მიცვალებულს

მისს გაყინულს მდგომარეობას, ამაზე ვსწუხდებით მწარეთ ([illegible] იმასაც წარმოვიდგენთ, რომ ოდესმე ჩვენც ამ დღეში უნ[illegible] [illegible]ავარდეთ ამიტომ მიცვალებულის სახელით რა მიზეზით ეის[illegible]ათ გოდებას, ტირილს და მწუხარებას, რომ ვითომც მიცვალ[illegible]ლს ვსტირით. მაგრამ ეს სულ ამაოა, ჩვენ ჩვენს თავებს ვ[illegible]ვით, ბატონო. რომ ერთხელ ჩვენც იმ დღეში უნდა შთავარ[illegible] [illegible] თორემ ასეთი ტირილი მიცვალებულისათვის უქმი, უბრ[illegible] [illegible] უნდა [illegible].

[illegible] მეფე დაეფიქრდა ბენიას ასეთ საუბარზე, ეს მოსაზრება მეფ[illegible] [illegible]ხვებსაც გახუზიარა. ვინც-კი გაიგო, ყველა თანახმად იყო ბენია[illegible] [illegible]ზრის დ[illegible] ყველა აქებდა მისს მახვილ გონიერებას.

კბ

[illegible] ფინუაშვილების გვარი წარმოსდგა ქართული [illegible] [illegible]ვინაი''დგან. ეს სიტყვა ბენიას განუერცია თბილისში დ[illegible] [illegible]ოქმის ამის მეოხებით დარქმევიათ მათ ფინთუაშვილები, რადგ[illegible] [illegible]ოთი ამათგანი, იმ დროის მდიდარი მოქალაქე დანიელიც მ[illegible] [illegible]ად ფინთ[illegible] ვაჭარ სოვდაგარი ყოფილა, მაშანდელი ბანკირი ე[illegible] [illegible]ანი ბრძანებულა და დიდი შეძლების პატრონიც ყოფილა. მეთ[illegible] [illegible]ალ[illegible]ენში, თბილისში ვაჭრობამ გაჩაღება იწყო. მეფე ერ[illegible] [illegible]ალ[illegible] მაშინდელს ვაჭრებს დიდს პატივს სცემდა. მათ პატივის ს[illegible] [illegible]ეუმლათ დაადგინა მოქალაქობა და მოქალაქობა შემოსა უპირ[illegible] [illegible]ტეის ლარსებით და მნიშვიელობით, გლეხებზე მათ მეტი ხმა დ[illegible] [illegible]ერსება მიანიჭა, თითქმის კარის კაცებზე მეტიც. მეფემ რამდენიმ[illegible] [illegible]ვაჭარი დაიახლოვა, რომ მათ მიეცათ სემეფო სახლში კარის კაც[illegible] [illegible]ეკითხავთ შესვლა. ესეთი უპირატესობას მოკლებულნი ი[illegible] [illegible]ენ თვით პირველი ხარისხის ტახტის აზნაურის შვილებიც-კი. ერ[illegible] [illegible]ილ, რადაც სამეფო საქმეების გამო რუსეთში ქაღალდებ[illegible] [illegible]ზავნათ. სწორეთ ამ დროს, რუსეთში მიდიოდა ერთ[illegible] [illegible]ვაჭარი, დიდი დაახლოებული ამაგდარი და მეფისაგან მრავალ[illegible] [illegible]ერ მოწყალება ნაქნარი. მეფემ ამ ვაჭარს დაავალა ქაღალდები[illegible] [illegible] ვაჭარმა დიდის სიამოვნებით მიღო მეფის ბრძანება. ეს ვაჭ[illegible]

ალე წავიდა რუსეთში და ყოველისფერი ქალალდებიც წაი-
თანა, რადგანაც ვაჭარი უნდა ეკატირინა იმპერატრიცასთან
გარიყო, ამიტომ მან თავადური ტანთ საცმელი ჩაიცვა და ქა-
ულ სამეფოს მოსამსახურე პირთა ხმით და სხვა იარაღით შე-
სა.

ეს ვაჭარი მალე მივიდა რუსეთში და წარსდგა იმპერატრიცას
აშე, გარდასცა ყოველივე ქალალდები და მასთან ბეერი რამ სა-
ი, მოკითხვა მეფისაგან. იმპერატრიცამ ყოველივე მიიღო და
ლობის მაგიერ ხმალზე დასაკერებელი ლენტი უთავაზა, რაც
რმე მაშინდელს რუსეთის აზნაურებში ესეთი ლენტი დიდს სა-
ო განძათ იყო გამზდარი, ვინც მას მიიღებდა, იგი თითქმის
აჭალში აზნაურის შვილობას დაიმტკიცებდა. ასეთი მოწყალე-
იქ მარტოთ აზნაურის შვილებს ეძლეოდათ თურმე.

საქართველოს ვაჭარს ძლიერი გაეხარდა ასეთი მოწყალება.
დი მიეცა გააზნაურშვილების. გახარებული მალე დაბრუნდა
ართველოში, მალე წარსდგა მეფის წინაშე და იმპერატრიცასა-
ქალალდები და ცნობები გარდასცა. მალე ვაჭარმა მოახსენა
ეს:

—ბატონო მეფეო, მეც მოწყალება მყო, აი ბატონო, აზ-
ურის შვილობის ლენტით შემოსა ჩემი ხმალი. ახლა თქვენ რა-
ს მიბოძებთ მეფე ბატონო. მიყავით მოწყალება და აზნა-
ის შვილობა მიბოძეთ.

—ძალიან გინდა აზნაურის შვილობა, ჰკითხა მეფემ.

—დიდი მოწყალება იქმნება ჩემთვის, მიუგო ვაჭარმა

ამ დროს, ბენიაც იქ იყო და ამათ საუბარს ყურს უგდებდა.
ფე ბენიამ მეორე ოთახში გაიხმო და იქ მოახსენა:

—ბატონო მეფეო, მაგაზე პირველ მოქალაქის შვილები სხვე-
არიან პატივ საცემნი თბილისში. თქვენ რომ მაგას აზნაურის
ილობა მისცეთ, სხვებს დიდათ ეწყინებათ ეს რიგით არ არის,
კან კარგათ იცის, რომ სხვა მოქალაქენი უფრო ღირსნი არი-
აზნაურის შვილობის. თუ თქვენ ისურვებთ და უბოძებთ აზნა-
რშვილობას, დღეის შემდეგ-კი აუკრძალე მას თქვენს სახლში კა-

რის კაცთა დაუკითხავათ შემოსელა, როგორც სხვა მოქალ
ქენი შემოდიან.

მეფეს ეს რჩევა ძრიელ მოეწონა და ამით იფიქრა, რომ
არც სხვა მოქალაქებს ეწყინებათო. მეფე შეეიდა ეაჭართან და ჰ
თხა:

—რა უფრო გირჩევნია: აზნაურობა, კარის კაცობა თუ მო
ლაქობა?

— კარის კაცობა, აზნაურობა.

—მაშ კარგი, მომიცია ე. ი. აზნაურობა, ანუ კარის კაცო
ახლად გააზნაურებულმა მეფეს სალამი სცა. მეფემ მიუგო:

ჩემო ახლად გააზნაურებულო კარის კაცო, უნდა მოგან
ნო შემდეგი: მე შენ და სხვა მოქალაქებს პატივს გცემთ, როგორ
მოქალაქეებს, როგორ საპატიო ოჯახის შვილებს ნიშნათ ჩე
დიდის პატივის ცემისა ისიც კმარა, რომ თქვენ ჩემს სახლში კა
ის კაცებთ დაუკითხავათ შემოდიოდით ხოლმე. ამის უფლება,
მიტომ მოგეცით თქვენ რომ ამით კვალად დამემტკიცებინა ჩე
პატივის ცემა და კარის კაცებზე თქვენი უპირატესობა, რადგანა
შენეს უპირატესობა არ ინდომე და კარის კაცობა მოინდომე, ამ
ტომ შენ ჩემს წინაშე ეს უპირატესობა დაკარგე და დღეის შემდ
ჩემს სახლში კარის კაცთა დაუკითხავათ ფეხი აღარ შემოადგა შე ,,ფ
ნთო'' შენა, ადე გადი შე ,,ფინთო'' გადი, შენი ფეხი აღარ იყოს ა

ვაჭარი ნაწყენი დარჩა ბოდიშის მოხდა დაიწყო, მაგრამ რაც
დროსა, ერთობ გვიან. მეფისაგან წოდებული ,,ფინთი'' ბენიას ჩ
რჩა ყურში და შემდეგ დროს მათ გვარათ ბენიას მეოხებით ფინ
თუაშვილებიც ეწოდათ. ამ საქმების გამო ფინთუაშვილს მოქალ
ქებმაც დაუწყეს მდურვა და საყვედურების თქმა: რომ მოქალაქობ
კარის კაცობაზე გაცვალაო.

ბენია დაუმატებდა უფრო ამის ცნობებს, რომ ასეთი კარი
კაცები მეფეს ასობით უდგანან კარზე კარის კაცებათაო.

ზ. ჭ

1876 წ.